ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 29 – 30 აპრილი, 2017

№100 (7335)

ფასი: 50 თეთრი



საქართველოს მოსახლეობა შემცირდა

გვ.6

27 აპრილიდან

სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

საბავშვო მოთხრობები მაგარი ყდა, ფერადი



ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ ქუჩის ბიჭივით გველაპარაკება“

გვ.3

„ლევან მურუსიძეს პირადად ვაფრთხილებ, რომ ჭკვიანად იყოს“

„ჩემო კარგო ირაკლი, სულ ასე არ იქნება!“

რამდენი უჯდება თბილისელებს საკრებულოს შენახვა

გვ.5

რითი აჯობა ჯეჯელავას უწყებამ ფინეთის სამინისტროს

მამუკა გამყრელიძე: „ვისაც სესიაშვილის ჩაჩოჩება სურს, ნაციონალებს ინფორმაცია იმან მიაწოდა“

გვ.3

ცხინვალში ყოფილ მინისტრებს დაერივნენ

გვ.5

ბიბილოვი თბილისთან საბაჟოს ამოქმედებას აპირებს

გვ.2

სოსო ცისკარიშვილი: „უსუფაშვილის პრეზიდენტობით საქართველო მხოლოდ მოიგებს“



გვ.6

35.082 გადამხდელს 1.563.070.960.00 ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა

ISSN 1987-9385

რის აღიარებას მოითხოვდნენ ფოტოგრაფ ირაკლი გედენიძისგან

გვ.4

გვ.6

რიყე-ნარიყალას საბაგირო გზით მგზავრობის ფასი 1 ლარიდან 2.5 ლარამდე იზრდება

სოსო ცისკარიშვილი: „უსუფაშვილის პრეზიდენტობით საქართველო მხოლოდ მოიგებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დავით უსუფაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში ბრუნდება და ცენტრისტულ პარტიას აფუძნებს. ეს არის მისი მხრიდან საპრეზიდენტო თუ თბილისის მერის არჩევნებისთვის მზადება?

– ბატონ დავითთან რამდენიმე შეხვედრა მქონდა. ქართული პოლიტიკა დავით უსუფაშვილის გარეშე უკუსვლის მიმანიშნებელი იქნებოდა. უსუფაშვილი, გადაუჭარბებლად არის ის პოლიტიკოსი, რომლის პოლიტიკის მიღმა დატოვების ფუფუნება ქართველ საზოგადოებას არ აქვს.

– თქვენ რა პოზიციით ხვდებოდით უსუფაშვილს, როგორც ექსპერტი-მრჩეველი, თუ თავისთან მიგიპატიჟათ?

– მე საკმაოდ საინტერესო ხედვა მოვისმინე ამ შეხვედრებზე.

– პარტიაში მიწვევა მიიღეთ?

– არა, პარტიებისადმი ჩემი დამოკიდებულება მან ყველაზე კარგად იცის. ვერც მე და არც ერთი „ექსპერტთა კლუბის“ წევრი ვერ იქნება ვერც ერთი პარტიის წევრი და ვერც სახელმწიფო მოხელე.

რასაკვირველია, ჩემი მრავალწლიანი კეთილგანწყობა ბატონი დავითის მიმართ სრულიად ბუნებრივ დამოკიდებულებას იწვევს ჩემში.

– ვინაიდან კონსულტაციები ჰქონდა ბატონ დავითს თქვენთან, რა შეატყვეთ, სპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის?

– არ მგონია, რომ ბატონი დავითი საკუთარი თანამდებობის ძიებით იყოს ამჟამად დაკავებული. მისთვის ახალი პარტიის შექმნა ნამდვილად არის სერიოზული გამოწვევა და იმ თანამოაზრეების შემოკრება, რომლებისთვისაც მისაღებია ის იდეები, რომლებზეც უსუფაშვილი საუბრობს. უსუფაშვილი ნამდვილად არის გამორჩეული პოლიტიკოსი და ასევე გამორჩეული ადამიანების შემოკრება იქნება მნიშვნელოვანი ამოცანა.

– უსუფაშვილმა ჟურნალისტებს არ უპასუხა, აპირებს თუ არა, თბილისის მერობის კანდიდატი იყოს. თქვენთან საუბრისას ხომ არ შეხებიხართ ამ საკითხს, აპირებს, კანდიდატი იყოს?

– ეს თემა ნამდვილად არ იყო საუბრის ღირსი.

– თუმცა, პოლიტიკა საკმაოდ პრაგმატული სფეროა და ალბათ გარკვეული გათვლები ექნება ბატონ დავითს.

– რასაკვირველია, მაგრამ ეს იქნება მისთვის ვინმე მისაღები კანდიდატი და არა – საკუთარი თავი.

– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ უსუფაშვილი სპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. რა შანსები აქვს?

– ამ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, თუ ასე მოხდა, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყანა ამით მხოლოდ მოიგებს.

– ვინ შეიძლება იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც უსუფაშვილის გვერდით დადგებიან, თუ გაქვთ ინფორმაცია? რამდენიმე უკვე დასახელდა.

– მე დღეს ეს ინფორმაცია ნაკლებად მაქვს.

– შეხვედრაზე იყო ამ საკითხზე საუბარი?

– არა, ამ საკითხზე ჩვენ არ გვისაუბრია. ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ბატონი დავითი თავის თავს წარუდგენს იმ ადამიანებს, ვისაც მის მიმართ აქვს საღი და სწორი დამოკიდებულება, ვინც იცის მისი ფასი.

– საკმაოდ მაღალი არის საარჩევნო ბარიერი, 5%, რომლის დაწევაზე არ არის საუბარი. რამდენად შეძლებს ახლად შექმნილი პარტია ამ ბარიერის გადალახვას?

– 5% ბარიერი გახლავთ არა მხოლოდ ნებისმიერი ახალი პარტიისთვის გამოწვევა, არამედ მთლიანად საქართველოს პოლიტიკური სპექტრის უფსკრულისკენ გაშვება. მმართველი პოლიტიკოსებისგან ეს არის ძალიან პრიმიტიული, უკაცრავად, მაგრამ ღორმუცელობა, არ მოვერიდები ამ სიტყვის გამოყენებას.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი მაღალი ბარიერი ვენეციის კომისიის მიერ არ იქნება დადებითად შეფასებული, აუცილებლად ექნება ვენეციის კომისიას ამ ყველაფერზე შენიშვნები. შემდეგ ალბათ არც ჩვენი ამომრჩეველი დააკლებს და ამ ვერდიქტს უსათუოდ ვიხილავთ.

– დღეს ვხედავთ, რომ რეალურად ორპოლუსიანი სისტემაა, რამდენად შეძლებს უსუფაშვილი, ორპარტიულ სისტემაში დისონანსი შეიტანოს და მესამე ძალა, რომლის მიმართ მოთხოვნილება აშკარაა, შესთავაზოს ამომრჩეველს?

– დღევანდელი საქართველოსთვის, იმ ამომრჩევლისთვის, რომელიც ორივე ძალის მიმართ არ მალავს თავის გაბრაზებას და არ მიდის არჩევნებზე, რომლის პროცენტული მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია, ითხოვს მესამე ძალას.

ის ელოდება ამ ძალის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც შეუძლია რეალური კომუნიკაციის წარმოება თავად ქართველ ამომრჩეველთან და უცხოელ პარტნიორებთან.

თბილისში ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მგზავრობის საფასური არ გაიზრდება

– თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, თბილისის მცხოვრებთათვის ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მგზავრობის საფასური არ გაიზრდება, – ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე განაცხადა. ტყემალაძის თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტმა 2.5 მილიონი ლარი იმისათვის მოიკლო, რომ თბილისში ტრანსპორტით მგზავრობის საფასური სამი წლის განმავლობაში არ გაიზარდოს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრებს შეახსენა, რომ სატრანსპორტო კომპანიებთან ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად აღნიშნულ კომპანიებს ტარიფის ნებისმიერ დროს გაზრდის შესაძლებლობა ჰქონდათ, დედაქალაქის ხელისუფლებაში სწორედ მათი ყოფნის პერიოდში გაფორმდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოს პრესსამსახურიდან აცნობეს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე დეპუტატებმა დაამტკიცეს საკითხი, რომლის თანახმად, თბილისის მერიასა და სატრანსპორტო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, დედაქალაქში მოძრავი ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მგზავრობის საფასური სამი წლის განმავლობაში არ გაიზრდება.

მათივე ინფორმაციით, როგორც გიორგი ტყემალაძემ სხდომაზე განაცხადა, თბილისის მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული საკითხი ეკონომიკის რეგულირებად სფეროში მოექცა. შესაბამისად, ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით თბილისში მგზავრთა გადამყვან კომპანიებს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეღავათი გაეწიათ და ისინი დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდნენ.

– რაც შეეხება თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ კომპანიებს ყოველთვიური გადასახადი შეუმცირდათ და სწორედ ამის ხარჯზე სამი წლის განმავლობაში ტარიფების ზრდა აღარ მოხდება, – აღნიშნა ტყემალაძემ.

გია ხუხაშვილი: „უსუფაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პლატფორმის შექმნას ცდილობს“

– დავით უსუფაშვილი ცდილობს გარკვეული კაპიტალი დააგროვოს, რათა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პლატფორმა შეიქმნას, – ასე გამოეხმაურა პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ინიციატივას, შექმნას ახალი, ცენტრისტული პარტია ახლებური მიდგომებით.

როგორც გია ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, პირადად მას მიაჩნია, რომ უსუფაშვილი ცუდი პრეზიდენტი არ იქნება. ამასთან, გია ხუხაშვილმა ზოგადად დავით უსუფაშვილის პოლიტიკური გააქტიურებაც შეაფასა და აღნიშნა, რომ მიუხედავად მისი ავტორიტეტისა, უსუფაშვილს დასჭირდება გვერდით ქარიზმატული პოლიტიკური ფიგურა.

– დავით უსუფაშვილის ინიციატივას რაც შეეხება, ამაში არის ლოგიკა, იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება პოლიტიკური პროცესი ე.წ. ორპოლუსიანობის საფუძველზე. არის ორი რადიკალური ფრთა და, შესაბამისად, არის ძალიან დიდი მოთხოვნილება მესამე არჩევანზე, ანუ ცენტრისტულ არჩევანზე. უსუფაშვილის ეს ინიციატივა ამ მოთხოვნაზე რეაგირებს.

ეს არის თეორიულად და ლოგიკურად სწორი გზა. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ის უდავოდ ავტორიტეტია ქართულ პოლიტიკაში, მაინც მიმაჩნია, რომ როგორც პოლიტიკური ლიდერი და მაკონსოლიდირებელი ფიგურა, უსუფაშვილი, ჩემი აზრით, სუსტია. სუსტია იმიტომ, რომ მას არ აქვს ლიდერის ქარიზმა, რომელსაც შეუძლია თავის ირგვლივ კონსოლიდირება რაღაც პოლიტიკური პროცესის. ეს არის მისი სისტემური ხარვეზი და მას აუცილებლად სჭირდება ქარიზმატული პარტნიორი სწორი პოლიტიკური ტანდემის ფორმირებისთვის.

ვფიქრობ, უსუფაშვილი ცდილობს, გარკვეული კაპიტალი დაგროვოს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პლატფორმა შეიქმნას. სხვათა შორის, არ ვფიქრობ, რომ ის ცუდი პრეზიდენტი იქნება, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს, შეიქმნას ახალი ცენტრისტული პარტია ახლებური მიდგომებით.

უსუფაშვილის თქმით, პარტიის ფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფონზე მოხდება.

ირაკლი კობახიძე: „საქმე იქითკენ მიდის, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები პირდაპირი წესით აღარ გაიმართება“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქმე იქითკენ მიდის, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები პირდაპირი წესით აღარ გაიმართება.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, „მმართველმა ძალამ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება, რომ 2018 წელს ჩატარებულიყო პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა ამ კომპრომისულ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება პრეზიდენტი პოლიტიკური ოპონენტების მეშვეობით, რომლებიც პრეზიდენტის ქოლგის ქვეშ პირდაპირ შეტევას ახორციელებენ პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წინააღმდეგ“.

– საქმე სწორედ აქეთკენ მიდის, არასწორი ნაბიჯები იდგმება ჩვენი ოპონენტების მხრიდან პრეზიდენტის თაოსნობით. ეს არის ძალიან სამწუხარო მოვლენა. პრეზიდენტი, რომელიც უნდა იყოს ზეპარტიული ფიგურა, პარტიებს ხვდება ადმინისტრაციის მეშვეობით, რომლის სტატუსი საერთოდ გაუგებარია, ასევე ხვდება ე.წ. ექსპერტებს და თანხმდება, თუ როგორ უნდა მიიტანოს შეტევა საქართველოს პარლამენტზე. თუ ეს პროცესები გაგრძელდება, ყოველგვარი აზრი დაეკარგება კომპრომისს და გადავალთ იმ სისტემაზე, რომელიც ყოველგვარი სისტემური თვალსაზრისით არის სწორი. მით უმეტეს, კონტრარგუმენტი ვერ მოვისმინეთ ამასთან დაკავშირებით, – განაცხადა კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ „კომპრომისს აზრი არ დაეკარგება“.

– იმედი მაქვს, რომ კომპრომისს აზრი არ დაეკარგება და არ გაგრძელდება არასწორი ქმედებები ოპონენტების მხრიდან, რაც ხდება პრეზიდენტის ქოლგის ქვეშ, – განაცხადა კობახიძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა გამყრელიძე: „ვისაც სესიაშვილის ჩაჩოჩება სურს, ნაციონალებს ინფორმაცია იმან მიაწოდა“

ნონა ცაბაძე

ირაკლი სესიაშვილის შვილის სკანდალს მამუკა გამყრელიძე სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და ამ ყველაფერში თავად ირაკლი სესიაშვილი დაადანაშაულა.

მამუკა გამყრელიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო მამუკა, თქვენს სტატუსს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. თქვენს შეფასებებს ძალიან ბევრი არ ეთანხმება. რაში ადანაშაულებთ ირაკლი სესიაშვილს?

– როგორც ჩანს, დამახინჯებული შეხედულებებია ამ ნეპოტიზმთან დაკავშირებით. ჩემი აზრი ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, საზოგადოების რაღაც ნაწილს არ ესმის სიტყვა ნეპოტიზმის შინაარსი. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თანამდებობის პირმა არ უნდა გამოიყენოს თავისი მდგომარეობა და გზა „გაუკვალოს“ თავის ახლობელ-ნათესავებს და დაასაქმოს სახელმწიფო სამსახურებში.

კერძო სტრუქტურაში დასაქმებაში რომ მიეხმარო, ვიღაც შეაწუხო, ეს კიდევ გასაგებია, იმიტომ, რომ ის კერძოა და რასაც უნდა, იმას გააკეთებს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის გაცემა კი ყველა მოქალაქეს აწვება კისერზე! ეს უზნეობაა, სხვა თუ არაფერი!

– თუმცა ძალიან ცუდი ფორმით მოხდა ამ ყველაფრის წარმოჩენა. სესიაშვილის ვაჟს ბრალად დასდეს დანაშაული. ეს გამართლებულია?

– მისთვის დანაშაული არავის დაუბრალებია. არსებობს გამოძიება, მისი ხელის ანაბეჭდიც ხომ ფიგურირებს საქმეში? და ეს გამოძიება ჯერჯერობით დახურული არ არის. ჯერ არც ის უთქვამთ, რომ სესიაშვილის შვილი დამნაშავეა ან არ არის დამნაშავე. უდანაშაულობის პრეზუმფიცია არსებობს, მაგრამ ეჭვის ქვეშ რომ არის ადამიანი, იმის მიღება სამსახურში, აქ სახელმწიფო უშიშროებაზეა ლაპარაკი და არა, ვთქვათ, სოფლის მეურნეობაზე, სულ მცირე, კითხვებს ბადებს.

– თქვენ ფიქრობთ, რადგან ირაკლი სესიაშვილის შვილი იყო, ამიტომ მიიღეს ასე მარტივად?

– რიტორიკულ კითხვას მისვამთ. აბა, ცადეთ და ვინმე მეორეკურსელს სთხოვეთ, შეიტანოს განცხადება სუს-ში და ვნახოთ, თუ მიიღებენ, რა საოცარი განათლების მქონეც არ უნდა იყოს. არავის არ მიიღებენ, ეს გამორიცხული ამბავია! მე ამიტომ დავწერე ჩემს ქალიშვილზე, წლების განმავლობაში აგზავნიდა სივს, სადაც კი ვაკანსია იყო, უბრალოდ გასაუბრებაზეც კი არავის დაუბარებია. ბევრგან ისიც უთხრეს, ზედმეტი კვალიფიკაცია გაქვთ და ჩვენ ასეთი თანამშრომლები არ გვჭირდებაო.

ნეპოტიზმი არ უნდა არსებობდეს. ბევრი რამე შეიძლება ადრე იყო, მაგრამ ახლა არ უნდა იყოს. ეს ხალხი არასწორად აზროვნებს ან ვერ ხვდება, რასთან აქვს საქმე. თუ 9 წელი იყო, ახლა რატომ არ უნდა იყოსო. არა, ბატონო, არც მაშინ უნდა ყოფილიყო და არც ახლა უნდა იყოს.

– ნაციონალები ძალიან ცუდი მეთოდებით იბრძვიან, ბრძოლის იარაღად შვილებს იყენებენო. ამაზე რას იტყვით?

– იცით რა, ზოგადად მეთოდები პოლიტიკაში ბინძურია. მე, ზოგადად, არ ვუყურებ ტელევიზორს, სპეციალურად დავჯექი და ვუყურე. ვერაფერი დავინახე კოტე იოსელიანის გამონათქვამებში შეურაცხმყოფელი. აბსოლუტურად არაფერი არ ყოფილა. პირიქით, სესიაშვილი ესხმოდა იოსელიანს თავს და ძალიან ცუდად მოიხსენიებდა მას.

– როდესაც საქმე შვილს ეხება და მის რეპუტაციას ვიღაც ეჭვქვეშ აყენებს?

– მე მისი შვილის ამბავი ვიცი. ჩემი შვილიშვილის ინგლისურის პედაგოგი ირაკლი სესიაშვილის შვილის პედაგოგიც იყო. მე ამ ქალის ძალიან მჯერა და ძალიან მიყვარს ეს ადამიანი. სწორედ მან მითხრა, არაჩვეულებრივი ბავშვიაო.

– სესიაშვილის შვილზე?

– დიახ. ძალიან კარგად დაახასიათა. პირდაპირ თითით საჩვენებელი ახალგაზრდაო. მე ნამდვილად ვეთანხმები და ამ ახალგაზრდას ყოველივე კარგს ვუსურვებ, მაგრამ მამამისის ბრალია, რომ ასეთ უხერხულ სიტუაციაში აყენებს საკუთარ შვილს! კიდევ თვალს დავხუჭავდით, რომ ამ ბავშვისთვის სტაჟირების საშუალება მიეცათ. ამაში ცუდი არაფერია, რომ შენს შვილის გზას უკაფავ. არც ეს არის მთლად ნორმალური, მაგრამ ხელფასი გამოუწერო, თუნდაც 20 ლარი, ეს, უბრალოდ, უხერხულია!

– არ უნდა მიეცათ ხელფასი?

– შე კაი დედმამიშვილო, ამხელა ხელფასს გაძლევენ სამსახურში. განა რა გიჭირს საიმისო! რატომ ალანძღვინებ შენს შვილს ვიღაცას?! შენს შვილზე არ უნდა ალაპარაკო არავინ. როდესაც ამხელა ლუპის ქვეშ ხარ, როდესაც ხელისუფლებას წარმოადგენ, მით უმეტეს უნდა გაუწიო შენს ოჯახს ანგარიში! მეც შემეძლო, თავის დროზე ჩემს შვილზე რამე მეთხოვა და დამესაქმებინა სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ ეს არ გავაკეთე. ჩემს კომპანიაში ვამუშავებდი და ორივე კმაყოფილი ვართ ამით.

როგორ შეიძლება, 20 წლის ბავშვს თავში მოუვიდეს სუს-ში მუშაობის დაწყება?! არ მჯერა, რომ ეს ამ ახალგაზრდის სურვილით მომხდარიყო, მით უმეტეს, რაც მისი დახასიათება მოვისმინე. ეს მამამისის ხუშტურია. სწორედ მან გაუშვა იქ სამუშაოდ, ალბათ, იფიქრა, შვილს კარიერას გავუკეთებო.

– ანუ მამაა დამნაშავე და არა შვილი?

– რა თქმა უნდა! დამნაშავეა იმიტომ, რომ ნეპოტიზმს აქვს ადგილი, დამნაშავეა საკუთარი შვილის წინაშე. ვიღაცა უცნობ ხალხს ალანძღვინა საკუთარი შვილი. რატომ, რა დააშავა იმ ბავშვმა?!

მამაჩემი იყო მინისტრი და მან საწყობში მტვირთავად, უბრალო მუშად დამაწყებინა მუშაობა, სადაც ვირულ სამუშაოს ვასრულებდი. ამით მამაჩემი ცდილობდა, ჩემთვის ცხოვრება და ასევე შრომის ფასი ესწავლებინა. 200 მანეთი ავიღე ხელფასი და უზომოდ გამიხარდა. არც მოველოდი ამას. ასეთი მიდგომა გასაგებია, მაგრამ, კაბინეტში რომ დასვამს მამა საკუთარ შვილს და გამოუწერს ხელფასს, ეს არ არის სწორი საქციელი.

– ვინ მიაწოდა იოსელიანს ეს ინფორმაცია? კი ამბობენ, ციხე შიგნიდან ტყდებაო, მაგრამ მაინც...

– არ ვიცი, ვინ მიაწოდა. რა, ცოტაა ჩასაფრებული ხალხი? ვიღაცას უნდა, ალბათ, მისი ადგილი, სესიაშვილის ჩაჩოჩება. აქ რა არის გასაკვირი, ცოტაა ასეთი? ადგნენ და მიაწოდეს კოტე იოსელიანს ეს ინფორმაცია. ამაში რა არის გასაკვირი? თუმცა ეს ამბავიც ისევე დამთავრდება, როგორც ეკა ბესელიას შვილის ამბავი დამთავრდა.

დღეს საზოგადოება იმდენად განაწყენებულია ნაციონალურ მოძრაობაზე, რომ ნაციონალების განცხადებებს სერიოზულად იღებს. გამოდიან და იწყებენ ამ ყველაფრის „გაპრავებას“, აი, ის 9 წელი და ასე შემდეგ.

კარგი, გავიგეთ, მაშინ რა იყო, ეს უკვე წარსულია. მე მაინტერესებს, დღეს რა ხდება და ხვალ რა მოხდება. რატომ ედრები იმ პერიოდს, შენ რას გვთავაზობ, როგორი იქნება ჩვენი მომავალი? წინა ხელისუფლებაზე აპელირება ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტური უგუნურება და სისუსტის გამოვლინებაა.

ნონა ცაბაძე

კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ ქუჩის ბიჭივით გველაპარაკება“

უმიავლესობა პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით ყოველდღე სხვადასხვაგვარ განცხადებას აკეთებს. ოგოცა იარაღი ჯობახიძე აცხადებს, 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები, აღბათ, პრიდაპრი წესით აღარ ჩატარდება, ვნახოთ, პრეზიდენტი ოგოცა მოიქცევაო.

ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

– ამ ქვეყნის დაფიქრებული მოქალაქეები ვინც არიან, ვისაც ქვეყნის ბედი აინტერესებს, იმ ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ ქვეყანას სათავეში უდგას ბანდა, რომელსაც ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდია! ასეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის კონსტიტუციური მოწყობა, წყვეტენ თავიანთი ხასიათის მიხედვით. ქუჩის ბიჭები რომ არჩევენ ერთმანეთთან საქმეს და გაბრაზებულ გულზე წყვეტენ ხოლმე მთვრალები, ასე გველაპარაკება დღეს „ქართული ოცნება“. ხვალ თუ ცოტათი გაბრაზდნენ, შეიძლება, ქვეყნის კონსტიტუცია შეცვალონ!

– ანუ მარგველაშვილი უნდა იყოს ჭკვიანად და „ოცნება“ არ უნდა გააბრაზოს?

– ამ ქვეყანას მართავს კრიმინალური ბანდა! თქვენ წარმოგიდგენიათ, პოლონეთის მთავრობამ რომ უთხრას პოლონეთის პრეზიდენტს, ჭკვიანად იყავი, თორემ პოლონეთის კონსტიტუციას შევცვლიო!

– პრეზიდენტის ადმინისტრაცია აქტიურად და უხეშად ერევა პარლამენტის საქმიანობაში და პარლამენტის წინააღმდეგ კამპანიებს გეგმავენო.

„ლევან მურუსიძეს პირადად ვაფრთხილებ, რომ ჭკვიანად იყოს“

– ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას განაგებენ ერთდროულად სულელები და დამნაშავეები! ირაკლი კობახიძეს ვინც იურისტობა დააბრალა, იმას მიეცა მთელი ქართველი ერის ცოდვა!

ადამიანი ამბობს, რომ პრეზიდენტი ერევა საპარლამენტო საქმიანობაში, მაშინ როდესაც პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს ეს ვალდებულება! პრეზიდენტს ჰყავს საპარლამენტო მდივანი, პრეზიდენტს აქვს ვალდებულება, რომ კანონს დაადოს ან არ დაადოს ვეტო. პრეზიდენტი არის ზედამხედველი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვაზე. პრეზიდენტს აქვს უფლება, ყველა საკანონმდებლო ცვლილებაზე პარლამენტს წარუდგინოს თავისი ცვლილებები და ამ ადამიანზე ამბობენ, რატომ ერევა საკანონმდებლო საქმიანობაშიო!

ის, რასაც კობახიძე აცხადებს, ზუსტად ისეთივე კრეტინიზმია, რომ გამოვიდეთ და განვაცხადოთ – ჯანდაცვის მინისტრი უხეშად ერევა ჯანდაცვის სამედიცინო სფეროშიო. რა გავაკეთოთ ახლა, ვიტიროთ თუ ვიცინოთ კობახიძის განცხადებებზე?!

ამ ყველაფერს აქვს მეორე მხარეც, რაც ამ ბანდას ასე აინტერესებს...

– და რა არის მეორე მხარე?

– ყველა ქმედებას, რომელსაც ჩადის ესა თუ ის ხელისუფლება, აქვს თავისი პოლიტიკური ფასი, რომელსაც გადაიხდის ეს მთავრობა მას შემდეგ, რაც მოუწევს ხელისუფლების დატოვება. შევარდნაძის დანაშაულების ფასი იყო ის, რომ ადამიანმა, თავისი მოხუცებულობის ბოლო 11-12 წელი შინაპატიმრობაში გაატარა! ვიღაც ამბობს, შევარდნაძე არ გაასამართლესო. რა მნიშვნელობა აქვს, რომ გაესამართლებინათ, იმავეს არ მიუსჯიდნენ?! როგორც ვარლამს გალიას რომ ადგამენ, არავინ ამოთხაროსო, შევარდნაძეც ამ შიშის გამო დასაფლავებულია სახლის ეზოში.

– ეს არის პოლიტიკური ფასი?

– სწორედ ეს არის პოლიტიკური ფასი იმ სისაძაგლეებისა, რაც აკეთა ედუარდ შევარდნაძემ! მიხეილ სააკაშვილმა რაც აკეთა, ამის გამო ახალგაზრდა ადამიანი არის ძებნილი და, სავარაუდოდ, ცხოვრების ბოლომდე იქნება ძებნაში. ნებისმიერი გაფრენა-გამოფრენის დროს იმის შიში აქვს, რომ ინტერპოლმა არ დაადოს ხელბორკილები. ხოლო მისი გუნდის წევრებს, სადაც არ უნდა შევიდნენ, რომელ რესტორანშიც, ყოველდღე პანღურებს ურტყამენ. ეს არის იმ ყველაფრის პოლიტიკური ფასი, რაც გააკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

– „ქართულ ოცნებასაც“ იგივე ელის თუ საით მიანიშნებთ?

– ახლა მინდა ვუთხრა „ქართულ ოცნებასაც“, არა აქვს მნიშვნელობა, ეს დღე ერთ წელიწადში დადგება თუ ორ წელიწადში. როგორც კი ისინი ხელისუფლებაში არ იქნებიან, მათაც მოუწევთ პოლიტიკური ფასის გადახდა იმ ყველაფერზე, რასაც ახლა აკეთებენ ხელისუფლებაში!

არ ეგონოთ, რომ ახლა რასაც უნდათ, იმას რომ აკეთებენ, ცინიკურად და უტიფრად რომ გველაპარაკებიან, სულ ასე იქნება. სულ ასე არ იქნება, ჩემო კარგო ირაკლი!

– აბა, რა იქნება? რა ელოდებათ „ოცნების“ ლიდერებს?

– ირაკლი კობახიძე ორ წელიწადში თბილისში ვერ გაივლის! არა მარტო ის, ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების დარჩენილი მეორე ნახევარი იქნება სიარული სასამართლოებში და არა – მაგნოლიების ჩრდილში ჰამაკში კოტრიალი.

„ქართული ოცნების“ ლიდერები ტყუილად აგროვებენ ფულებს, იშენებენ აგარაკებს ბიუჯეტიდან მოპარული ფულებით. ამ ყველაფერს აზრი არ აქვს. ყველაფერს სამმაგად დააბრუნებთ! ყველა ზღვარს გადავიდა დღეს „ოცნება“, უკვე სიტყვის თავისუფლებასაც გვიკრძალავენ, ცენზურას გვიწესებენ, რა ვთქვათ და რა არა!

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივა გაქვთ მხედველობაში?

– დიახ და ეს არის კომიკური ინიციატივა! საქართველოში რომ მიიღო კანონი გინების აკრძალვის შესახებ, მოფიქრება ხომ უნდა ამას. მთავრობა იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ხალხი რაღაცით დაინტერესოს, რაღაც შესთავაზოს, არა, ხალხს უნდა აეკრძალოს მთავრობის გინება. ეს წარმოუდგენელი სისულელეა! აქამდე მთავრობას თუ აგინებდნენ ათჯერ, ახლა შეაგინებენ ოცჯერ!

– არსებობს თმენის ვალდებულების საზღვრები, მოსამართლეებსაც აქვთ ღირსება, ჰყავთ ოჯახის წევრები, აცხადებენ იუსტიციის საბჭოში. ამაზე რით უპასუხებთ?

– მათ გარეწარ მოსამართლეებსა და მონებს მინდა ვუთხრა: ხალხსაც აქვს თმენის ვალდებულების საზღვრები. იმ სისაძაგლესა და სიბინძურეს, რასაც აკეთებს ჩვენი სასამართლო სისტემა, ქართველი ხალხი ითმენს, მაგრამ მათ მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

ლევან მურუსიძეს პირადად ვაფრთხილებ, რომ ჭკვიანად იყოს. გირგვლიანის მკვლელების მოსამართლე ითხოვს ქართველი ხალხისგან, რომ თურმე მას რომ მოვიხსენიებთ, ამის გამო ჯარიმა უნდა დაგვეკისროს. ეს არის ისეთი უტიფრობა, რომ მას ცხვირპირს დავუნაყავთ თავისივე სამუშაო კაბინეტში! მას სამუდამო პატიმრობა უნდა ჰქონდეს მისჯილი და რომელიმე კოლონიაში იხდიდეს, ამის სანაცვლოდ კაბინეტში ზის, 10 ათას ლარს ხელფასს იღებს და კიდევ აქეთ გვეყელყელავება. კარგით, რა, ყველაფერს ხომ აქვს რაღაც საზღვრები!

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

ყალბი პასპორტებით ევროპაში გამგზავრების სქემა — დაკავებული არიან ირანისა და თურქეთის მოქალაქეები

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ყალბი პასპორტების გამოყენებით ევროპის ქვეყნებში გამგზავრების დანაშაულებრივი სქემა გამოავლინეს.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ბერკანტ დ., რომელიც პირადად და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების დახმარებით, სოლიდური თანხის სანაცვლოდ, ყალბი პასპორტების გამოყენებით, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების ევროპის ქვეყნებში გამგზავრებას უზრუნველყოფდა.

თანხის გადახდის შემდგომ, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები აღნიშნულ პირებს სხვა სახელითა და გვარით ყალბ პასპორტებს უმზადებდნენ, შემდეგ ისინი საქართველოში ჩამოჰყავდათ და სხვადასხვა საპასპორტო მონაცემით (ნამდვილით და ყალბით) შეუძენდნენ ავიაბილეთებს, ერთდროულად, როგორც თურქეთის (სადაც ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეები უვიზო მიმოსვლით სარგებლობენ), ასევე, ევროპის რომელიმე ქვეყნის მიმართულებით.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები საქართველოში ჩამოსულ პირებს დანიშნულ დროს, აეროპორტში მისვლამდე ყალბ პასპორტებს გადასცემდნენ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ირანის მოქალაქეები რეგისტრაციას თურქეთისა და ევროპის მიმართულების ავიარეისებზე პარალელურად გადიოდნენ. საზღვრის გადაკვეთამდე, აეროპორტის საპირფარეშოში, ბერკანტ დ. ევროპის მიმართულებით აღებულ ჩასხდომის ბარათსა და ყალბ პასპორტზე საქართველოს საზღვრის კვეთის ამსახველ ყალბ თარიღ-დამღას სვამდა. ამის შემდგომ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე აღნიშნული პირები მესაზღვრე-კონტროლიორს ნამდვილ, ირანულ პასპორტებსა და თურქეთის მიმართულებით ჩასხდომის ბარათს წარუდგენდნენ, საზღვრის კვეთის შემდგომ კი უკვე ყალბი პასპორტითა და ევროპის მიმართულებით აღებული ჩასხდომის ბარათით, რომელზეც საზღვრის კვეთის ყალბი თარიღ-დამღა იყო დასმული, ევროპის ქვეყნების მიმართულებით მიემგზავრებოდნენ. დანაშაულებრივი სქემის თანახმად, ევროპის მიმართულებით მიმავალი ავიარეისი დროში მცირედით წინ უსწრებდა თურქეთის მიმართულებით მიმავალ რეისს, რის გამოც, მგზავრის დაკლების შემდგომ, ავიაკომპანია მათ მოძიებას ვეღარ ახერხებდა.

დანაშაულებრივი სქემის გამოვლენის შემდგომ, მიმდინარე წლის აპრილში შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი მოქალაქის მცდელობა, თურქეთის ნაცვლად, ევროპაში ყალბი პასპორტით გამგზავრებულიყო, ადგილზე აღკვეთა.

შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გამოძიების ამ ეტაპზე დანაშაულებრივი სქემის ერთ-ერთი ორგანიზატორი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ბერკანტ დ., საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, ყალბი ბეჭდისა და დოკუმენტების დამზადება, შენახვა, გასაღების ბრალდებით დააკავა. დაკავებულის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულ იქნა საქართველოს საზღვრის კვეთის ამსახველი ყალბი თარიღ-დამღა და სხვადასხვა ქვეყნის ყალბი პასპორტები. ამავე მუხლის ბრალდებით დაკავებულია ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთი მოქალაქე, რომელმაც აღნიშნული ყალბი დოკუმენტები გამოიყენა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ასევე გამოავლინა თბილისში მყოფი ირანის ისლამური რესპუბლიკის ხუთი მოქალაქე, რომლებსაც ზემოხსენებული დანაშაულებრივი სქემით უნდა ესარგებლათ.

დანაშაულთან კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით გამოძიება გრძელდება.

რის აღიარებას მოითხოვდნენ ფოტოგრაფ ირაკლი გედენიძისგან

თბილისის საქალაქო სასამართლოში „ფოტოგრაფების საქმის“ განხილვა მიმდინარეობს. გუშინ სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის სტატუსით ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე დაკითხეს. ირაკლი გედენიძის თქმით, მას აქვს შთაბეჭდილება, რომ მისი და მისი მეუღლის დაკავება 2011 წელს, 26 მაისის აქციაზე გადაღებულ ფოტოებს უკავშირდება.

გედენიძის განცხადებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი შვილების სიცოცხლით და ოჯახის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების გამოქვეყნებით ემუქრებოდა და აიძულებდა, ეღიარებინა გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდება.

– აღკვეთის ღონისძიებად, პატიმრობის შეფარდების შემდეგ, წაგვიყვანეს გლდანის ციხეში, ე.წ. ფუქსებში. მოპირდაპირე კამერაში იყვნენ ზურა და გია. მერე შემოვიდა თანამშრომელი, შეგვამოწმეს და საკანში შეგვასახლეს. იქ დამხვდა ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ბადგარმა უთხრა, ახალი თანამოსაკნე გყავს და გარკვიეო. ამ ბიჭმა ფანჯრის გისოსზე მაჩვენა დაშლილი სამართებლები. ვკითხე, რაში მჭირდებოდა, მითხრა, იცოდე მაინცო.

2-3 დღის შემდეგ, ბადრაგმა გამიყვანა ადმინისტრაციულში. იქ დამხვდა პიროვნება და მკითხა ტუჩებზე სისხლი რატომ გაქვსო, დევნოზაშვილმა უთხრა, სიმწრით იკვნეტსო. კითხვები დამისვეს, ვისთან გქონდა ურთიერთობა ულვაშებიანთანო. ამ კითხვის შემდეგ, დევნოზაშვილი მითხრა დამეწერა, რომ 2008 წლის ომში გადაღებულ ფოტოებს და ჯარის გადაადგილების გეგმებს ვითომ ქურციკიძეს ვაძლევდი. ამაზე უარი განვაცხადე, ძალიან ცუდად გავხდი და გადამიყვანეს საკანში. ეს ხდება მას შემდეგ, რაც აღიარებითი უკვე მიცემული მაქვს. საკანშიც ძალიან ცუდად ვიყავი და გადამიყვანეს საავადმყოფოში, – განაცხადა გედენიძემ.

გედენიძემ აღნიშნა, რომ ბრალდებული დავით დევნოზაშვილი 2011 წელს, გათავისუფლების შემდეგ, ხშირად ეკონტაქტებოდა და აკონტროლებდა. „რეზონანსის“ ჟურნალისტმა ელისო ჩაფიძემ ჩემთან ჩაწერა ინტერვიუ. მორიგი დაკავშირებისას, დავით დევნოზაშვილმა მითხრა, ხომ არ გაგიჟდი, ეგ ინტერვიუ არ უნდა გავიდეს. შემდეგ დავუკავშირდი ჟურნალისტს და ვთხოვე, არ გამოექვეყნებინა, – განაცხადა ირაკლი გედენიძემ.

მურუსიძე: „უნდა გავაგრძელოთ ისევ ლანძღვის რეჟიმში თუ მოვიფიქროთ სხვა სიტუაცია?“

ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის შეურაცხყოფისთვის სანქციების დაწესებას არ ითხოვს. უმაღლესი საბჭოს მდივანმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია აჟიოტაჟი, რომელიც მოჰყვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივას.

მურუსიძის თქმით, საუბარი არ არის სანქციებზე, რეგულაციების გამკაცრებაზე.

– გვჭირდება დახმარება, ვითხოვეთ ეს დახმარება. საბჭო ითხოვს ერთ რამეს, რომ ასეთი სიტუაციის გაგრძელება არ შეიძლება და აქედან გამომდინარე ვითხოვთ დახმარებას. გვინდა, რომ მრგვალ მაგიდასთან ყველა შევიკრიბოთ და ვიმსჯელოთ. თუ ეს ნაბიჯი, ჩვენი წინადადება იქნება მიღებული და აღქმული და დავილაპარაკებთ თუ არა და გვეცოდინება, რომ უნდა გავაგრძელოთ ისევ ამ ლანძღვის რეჟიმში და მაშინ უნდა მოვიფიქროთ სხვა სიტუაცია, რომ რაღაცნაირად ამ სიტუაციიდან გამოვიდეთ, – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გუშინ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, სანქციების აუცილებლობასა და გარკვეული სახის რეგულაციების შემოღებაზე საუბრობდნენ.

ადვოკატი: „მერაბ ღოღობერიძე ამბობს, რომ მასთან მაღალი თანამდებობის პირი იმყოფებოდა“

ბათუმის არეულობის ორგანიზებაში ბრალდებულ მერაბ ღოღობერიძის ადვოკატ პაატა შავაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ფიქრობს, რომ ის სუს-სა და შსს-ს შორის არსებულ დაპირისპირებას შეეწირა.

როგორც შავაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მერაბ ღოღობერიძე ამბობს, რომ წინასწარი დაკავების დაწესებულებაში მასთან ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი იმყოფებოდა, რომელმაც 20 ათასიანი გირაოს სანაცვლოდ მერაბ ღოღობერიძეს ბათუმში მომხდარი არეულობის ორგანიზატორად სუსი-ს თანამშრომლის, ვინმე ყიფიანის დასახელება მოსთხოვა.

– შევხვდი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ქუთაისის მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მქონდა საუბარი იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მერაბ ღოღობერიძემ აჭარაში სახალხო დამცველის წარმომადგენელს მიაწოდა. ღოღობერიძის განმარტებით, 2017 წლის 25 აპრილს მასთან იმყოფებოდა თანამდებობის პირი, რომლის სახელს და გვარს მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე ჯერჯერობით არ ამხელს. ამ პიროვნებამ ღოღობერიძეს წინასწარი დაკავების დაწესებულებაში მიმდინარე საქმის გამომძიებლის, უჩა კახიძის გამოძახება მოსთხოვა, რომლისთვისაც უნდა მიეცა ჩვენება. ამ ჩვენების მიხედვით ღოღობერიძეს უნდა ემხილა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, ვიღაც ყიფიანი, როგორც აჭარაში არეულობის დამკვეთი, რომელიც 11-12 მარტს მოხდა. შესაბამისად, მერაბ ღოღობერიძის პასუხი ამ მითითებაზე იყო უარყოფითი.

მერაბ ღოღობერიძეს მიაჩნია და განმარტავს, რომ არეულობა, რომელიც აჭარაში მოხდა, იყო დაპირისპირება სუს-სა და შსს -ს შორის. ის შეეწირა ამ ორ უწყებას შორის დაპირისპირებას, – განაცხადა პაატა შავაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბათუმის 11-12 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით მერაბ ღოღობერიძესა და ირაკლი ჩხვრიკიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სუიციდი ქობულეთში — 21 წლის ახალგაზრდამ სანადირო თოფით თავი მოიკლა

ქობულეთში 21 წლის ახალგაზრდა მამაკაცი საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მან თავი სანადირო თოფით მოიკლა.

მეზობლებმა გასროლის ხმა გაიგეს, ადგილზე მისულებს კი მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.სახლში ახალგაზრდა, სავარაუდოდ, მარტო იმყოფებოდა.როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე სსკ-ის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

შსს-მ აუდიტორია 115-ის წევრების მიერ ყალბი ცნობის შესაძლო დამზადებაზე გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, აუდიტორია 115-ის წევრების მიერ გამოცდების გადატანისთვის ყალბი ცნობების შესაძლო დამზადების საქმეზე გამოძიება დაიწყო. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით დაიწყო. ამ მუხლის თანახმად, ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. აუდიტორია 115-ში კი დაწყებულ გამოძიებას პოლიტიკური ნიშნით დაწყებულს უწოდებენ. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ეს ყველაფერი 1 მაისს შრომის საერთაშორისო დღეს დაგეგმილ აქციას უკავშირდებოდეს.

– ტოვებს იმ შეგრძნებას, რომ ეს არის ზეწოლა სტუდენტურ ჯგუფებზე. თავის მხრივ, ხელისუფლებაში და ძალოვან უწყებებში კარგად იციან, რომ ჩვენ ვემზადებით 1 მაისისთვის, მშრომელთა საერთაშორისო დღისთვის და ვაპირებთ დიდი მანიფესტაციის გაკეთებას. თუმცა, ჩვენ მაინც არ ვაპირებთ დანებებას და ისინი ამ ტიპის ზეწოლით კრიტიკულ აზრს ვერ ჩაახშობენ, – განაცხადა აუდიტორია 115-ის წევრმა ირაკლი კუპრაძემ.

ავარია გელათის მონასტერთან — დაშავებულია ორი ბავშვი

გელათის მონასტერთან ექსკურსიის მიკროავტობუსს სატვირთო ავტომობილი დაეჯახა.

დაშავებულია ორი ბავშვი, რომლებიც ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

შორენა მარსაგიშვილი

რამდენი უჯდება თბილისელებს საკრებულოს შენახვა

რითი აჯობა ჯეჯელავას უწყებამ ფინეთის სამინისტროს

მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა" და „ახალმა საქართველომ" დედაქალაქის საჯრებელო „მონათლა" და სახელად ნოტარიუსთა პალატა უწოდა. ახალი სახელი ჯი ახალი ჯვლევით მიუღოცა, საიდანაც იჩჯვევა, რომ თბილისელებს საჯრებელოს 50 წევრის შენახვა საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

როგორც „ახალ თაობას" კვლევის ავტორებმა განუცხადეს, თბილისის „ნოტარიუსთა პალატის" 50 წევრის შენახვა, 2015-16 წლებში, ბიუჯეტს 2.464.298 ლარი დაუჯდა.

საკრებულოსთვის სახელის გადარქმევა კვლევის ავტორებმა რამდენიმე მიზეზის გამო გადაწყვიტეს.

– ამ საკრებულომ და მათმა უმრავლესობამ თვალები დახუჭეს, ნარმანიას მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნაზე, რომელიც თანამშრომლების უმიზეზოდ გათავისუფლებაში გამოიხატება. თვალი დახუჭეს ჩაჭრილ თანამდებობის პირებზე, კორუფციაზე, ნეპოტიზმზე, პროკურორის შვილისთვის გადაცემულ თანხებზე, ნაზღაიძის მილიონზე, ბოტანიკური ბაღის გასხვისებაზე, პანორამა თბილისზე, – ასეთია მათი პოზიცია.

რაც შეეხება ხარჯებს, ოფიციალურად გამოთხოვილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2015-2016 წლებში თბილისის საკრებულოს წევრებმა 273.475 ლიტრი საწვავი მოიხმარეს. რაც, „მედიატორის" განმარტებით, ლარებში თითქმის 550.000 ლარია.

მივლინებები საკრებულოს წევრებსაც ძალიან ჰყვარებიათ. როგორც „ახალ საქართველოში" ამბობენ, საკრებულოს წევრების სამივლინებო ხარჯმა 2 წლის განმავლობაში 367.540 ლარი შეადგინა.

საკრებულოელები მიმდინარე წელსაც აქტიურად მოგზაურობენ. 3 თვის განმავლობაში მათ 35.000 ლარზე ცოტა მეტი დახარჯეს. ამ ეტაპზე მათი სამივლინებო მონაგარი 402.885 ლარია.

კვლევის ავტორების განმარტებით, არ არსებობს დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს, თუ რა სიკეთე მოუტანა ამ მივლინებებმა დედაქალაქს.

მივლინებების გარდა, საკრებულოში ბიუჯეტის ხარჯზე რესტორანში წასვლა და ყავის დალევაც ჰყვარებიათ.

– 2015 წლიდან დღემდე საკრებულოს წარმომადგენლობითმა ხარჯმა (რესტორნები, მინერალური წყლები, ყავა, ჩაი და სხვა) 100.422 ლარი შეადგინა, – ამბობენ კვლევის ავტორები.

„მედიატორი" და „ახალი საქართველო" საკრებულოს აქტივობებითაც დაინტერესდა. თუმცა ამ მიმართულებით საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა.

– საკრებულოს ვთხოვეთ, დოკუმენტალურად მოეწოდებინათ ინფორმაცია იმ შეხვედრებისა და აქტივობების შესახებ, რაც ამ ხნის განმავლობაში დეპუტატებს ჰქონდათ. ასევე მოვთხოვეთ საშვთა ბიუროდან ამონაწერი, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციას, თუ რომელმა დეპუტატმა, რამდენი მოქალაქე მიიღო 27 თვის განმავლობაში. თუმცა ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ და საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე გადაგვამისამართეს.

საიტის ძირფესვიანად დათვალიერების შემდეგ, ირკვევა, რომ გარე აქტივობები უმრავლესობის წევრ დეპუტატებს ფაქტობრივად არ ჰქონიათ და ასეთები თითზე ჩამოსათვლელია. მიუხედავად ამისა, საწვავის ხარჯი კოლოსალურად დიდია და არ ასახავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს კოეფიციენტს, – უთხრეს „ახალ თაობას" მონიტორინგის ცენტრში.

.....

სამოქალაქო პლატფორმამ „ახალი საქართველო" კიდევ ერთი საინტერესო კვლევა გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვითაც, ფინეთში 3 სამინისტროში უფრო ნაკლები ხალხი მუშაობს, ვიდრე საქართველოს განათლების სამინისტროში.

„ახალი საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი თამთა შამათავა საქართველოს მთავრობას ინიციატივით მიმართავს. ის მოუწოდებს მთავრობას იმ სამი სამინისტროს გაერთიანებისკენ, რომელიც წინა ხელისუფლებამ, თავის დროზე, ხელოვნურად გამიჯნა. საუბარია განათლების, კულტურისა და ასევე სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროებზე.

„ახალ თაობასთან" საუბარში თამთა შამათავას ფინეთის მაგალითი მოჰყავს და განმარტავს, რომ ფინეთში განათლებას, კულტურასა და სპორტს ერთი სამინისტრო განაგებს.

– ჯამში, იქ დასაქმებულთა რაოდენობა 248 თანამშრომლით განისაზღვრება, მაშინ როდესაც, საქართველოს შემთხვევაში, მხოლოდ განათლების სამინისტროში 341 თანამშრომელია დასაქმებული (221 შტატში და 120 შტატგარეშე), – ამბობს შამათავა.



თამთა შამათავას ინფორმაციით, საქართველოს ამ სამივე სამინისტროში დასაქმებულთა რაოდენობა 800-ზე მეტია. რაც ფაქტობრივად ორნახევარჯერ აღემატება ფინეთის მაგალითს.

მისი თქმით, ფინეთი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა ევროპაში განათლების კუთხით და მისი სწავლის მოდელი – ფინური მოდელი, საქვეყნოდაა ცნობილი.

– ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ მინიმალური ბიუროკრატიით, ნაკლები დანახარჯითა და ეფექტური მართვით შესაძლებელია ბევრად უკეთესი შედეგის მიღება, ვიდრე დღეს რეალურად გვაქვს. საქმე არის არა რაოდენობაში, არამედ ხარისხში. ფინეთი მოსახლეობის რაოდენობით თითქმის ორჯერ მეტია საქართველოზე. ტერიტორიულად კი ხუთჯერ აღემატება ჩვენს ქვეყანას, – ამბობს შამათავა.

ცხინვალში ყოფილ მინისტრებს დაერივნენ

ბიბილოვი თბილისთან საბაჟოს ამოქმედებას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

ინაუგურაციიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე ცხინვალის რეგიონის პრეზიდენტად წოდებულმა დაჭერების სერია დაიწყო. ანატოლი ბიბილოვმა ჯერ კიდევ არჩევნების წინ განაცხადა, რომ ის რესპუბლიკაში წესრიგს დაამყარებდა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდა.

დანაპირების შესრულება მან სოფლის მეურნეობის მინისტრის დაკავებით დაიწყო. არადა, რამდენიმე დღის წინ, ბიბილოვმა, სხვა მინისტრების მსგავსად, სოფლის მეურნეობის მინისტრსაც გადაუხადა მადლობა გაწეული მუშაობისთვის. ამის გარდა, სხვა გადამდგარი მინისტრების მსგავსად, მასაც სთხოვა, ახალი მინისტრების დანიშვნამდე, მინისტრის მოვალეობა შეასრულეო.

ოსური მედიის ცნობით, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვიტალი პლიევი 27 აპრილს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააკავა. მისი დაკავების შესახებ ინფორმაცია მედიას ერთი დღის დაგვიანებით მიაწოდეს.

ვიტალი პლიევი სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტს ორჯერ იკავებდა. პირველად ამ თანამდებობაზე 1998-2001 წლებში მუშაობდა. მეორედ ეს პოსტი 2015 წელს ჩააბარეს, სადაც მიმდინარე წლის 27 აპრილამდე იმუშავა.

უშიშროების სამსახურის განმარტებით, მათ ვიტალი პლიევი საბიუჯეტო სახსრების დატაცების გამო დააკავეს.

იმავე სამსახურის განმარტებით, მინისტრთან ერთად აგროპრომსერვისის ხელმძღვანელი ალექსანდრ ჯიოევი დააკავეს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ცხინვალში სხვა მაღალჩინოსნების დაკავებასაც ელოდებიან.

* * *

კორუფციასთან ბრძოლის გარდა, ანატოლი ბიბილოვისგან ცხინვალში სხვა ღონისძიებებსაც ელოდებიან. არჩევნების წინ ის ახალგორელებს დაპირდა, რომ თბილისთან გზა არ დაიკეტებოდა. ამ დაპირებას ძალაში ტოვებს და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლება მას თავდაუსხმელობის შეთანხმებას გაუფორმებს.

ოფიციალურ თბილისთან, მართალია, საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებს, მაგრამ ცხინვალში ქართული პროდუქციის შესვლას ხელს არ შეუშლის.

რუსულ მედიასთან საუბარში ბიბილოვი ამბობს, რომ ქართული პროდუქცია ახლაც შედის ცხინვალში. მისი თქმით, თბილისთან ეკონომიკური თანამშრომლობა შესაძლებელია, თუმცა ამას კანონის ჩარჩოებში მოქცევა დასჭირდება.

ამბობს, რომ კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებები აქვს. გადაწყვიტა, რომ ე.წ. საზღვარზე საბაჟო-გამშვები პუნქტი დააყენოს, რასაც ოფიციალური თბილისი ალბათ არ დათანხმდება.

ანატოლი ბიბილოვმა ერთ საინტერესო თემაზეც ისაუბრა. ამ საკითხზე საუბარს საქართველოს ხელისუფლება ერიდება. არადა ოფიციალური ერევანი ამბობს, რომ მათთან შეთანხმება მიღწეულია.

სომხეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გასულ წელს მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მათთვის, გამონაკლისის სახით, გეხსნა როკის გვირაბი. როგორც ერევანში ამბობენ, ამ თემაზე შეთანხმება მიღწეულია.

ამ საკითხზე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა ბიბილოვის წინამორბედ თიბილოვს. რამდენიმე თვის წინ ოფიციალურმა ცხინვალმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებას მათი ნებართვის გარეშე ვერავინ მიიღებდა.

ცხინვალის მაშინდელი ხელისუფლება აცხადებდა, რომ ამ გზის გახსნას არ დათანხმდებოდა. ანატოლი ბიბილოვს კი ერთი სული აქვს, როდის გაიხსნება როკის გვირაბი სატრანზიტო ტვირთებისთვის.

– ტრანსკავკასიური მაგისტრალის გახსნა მარტო სომხეთს არ სჭირდება. ამ გზით ასევე ისარგებლებენ აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანი, – ამბობს ბიბილოვი.

ის საქართველოს ხელისუფლების პოზიციით უკმაყოფილოა. გამოსავალს კი შემდეგში ხედავს:

– იმ ქვეყნებმა საქართველოს ხელისუფლებას მკაფიოდ უნდა უთხრან, რომ მათ ეს გზა სჭირდებათ.

სარფის საბაჟოზე 482,3 კარატის ზურმუხტი აღმოაჩინეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა საბაჟო-გამშვები პუნქტის „სარფის" გავლით გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რა დროსაც, საბაჟო კონტროლისგან მალულად, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ გადმოიტანა დეკლარირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ძვირფასი ქვა – 482,3 კარატის ზურმუხტი. საგამოძიებო სამსახურის მიერ საზღვარზე მალულად გადმოტანილი ძვირფასი ქვა ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

სამტრედიაში შვილმა მამა მოკლა

სამტრედიაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შვილმა მამა დაჭრა, რომელიც მომხდარიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული პ.კ. ოჯახური ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა სამტრედიის რაიონის სოფელ ოფეთში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება მიაყენა მამას – 1964 წელს დაბადებულ გ.კ.-ს, რომელიც, მიყენებული დაზიანების შედეგად, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა პ.კ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-108-ე მუხლით).

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

საქართველოს მოსახლეობა შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის 1-ელი იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 3,718.2 ათასი შეადგინა. 2016 წლის 1-ელი იანვრისთვის კი საქართველოში 3,720.4 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მონაცემებში არ შედის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.

ქვეყნის მოსახლეობის 57,2 პროცენტი (2 128,6 ათასი კაცი) ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში, ხოლო 42,8 პროცენტი (1 589,6 ათასი კაცი) – სასოფლო დასახლებაში

ამასთან, სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, მომატებულია მოსახლეობის რაოდენობა თბილისში. თუ 2016 წლის 1-ელი იანვრისთვის დედაქალაქში 1,113 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 2017 წლის 1-ელი იანვრისთვის ეს მაჩვენებელი 1,114-მდე გაიზარდა.

სტატისტიკური მონაცემებით, 337 ათასიდან 339 ათასამდე გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა აჭარაში; გურიაში 113 ათასიდან 112 ათასამდე შემცირდა; იმერეთში 532,9 ათასიდან 529,7 ათასამდე იკლო მოსახლეობის რაოდენობამ. 318,4 ათასიდან 317,5 ათასამდე შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა კახეთში. მოსახლეობა შემცირდა მცხეთა-მთიანეთშიც, თუ 2016 წლის 1-ელი იანვრისთვის რეგიონში 94,2 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 2017 წლის 1-ელი იანვრისთვის ეს რაოდენობა 93,8 ათასამდე შემცირდა.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 31,5 ათასიდან 31 ათასამდე შემცირდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა; 329,7 ათასიდან 328,3 იკლო სამეგრელო-ზემო სვანეთში მცხოვრები ადამიანების რიცხვმა. მცირედით გაიზარდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა – 2016 წლის 1-ელი იანვრის მონაცემებით რეგიონში 160,5 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ამ წლის მონაცემებით კი 160,6 ათასი ცხოვრობს.

ასევე, მცირედით გაიზარდა ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა – შარშან რეგიონში 426,4 ათასი

ადამიანი ცხოვრობდა, წელს – 427,4 ათასი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის იანვარში შიდა ქართლში სულ 263,7 ათასი ადამიანია რეგისტრირებული, 2016 წლის იანვარში კი რეგიონში 263,8 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 0,1 პროცენტით გაიზარდა და 1.781,5 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო ქალების წილი 0,2 პროცენტით შემცირდა და 1.936,7 ათასი შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის 47,9 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 52,1 პროცენტი – ქალია.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის (0-14 ასაკობრივი ჯგუფი) წილმა მთელ მოსახლეობაში 19,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილმა – 66,1 პროცენტი. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14,5 პროცენტია.

0-64 წლის მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში სჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები სჭარბობენ მამაკაცებს, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით. 2016 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 72,7 წელს, მათ შორის მამაკებისათვის 68,3 წელს, ხოლო ქალებისათვის – 77,2 წელს.

თბილისში 240 დაუსრულებელი მშენებლობაა

დაუსრულებელი მშენებლობისგან არაერთი მოქალაქე დაზარალებულა. ისინი, იმ პირობით, რომ ბინებს კონკრეტულ ვადებში მიიღებდნენ, გარკვეულ თანხებს იხდიდნენ, თუმცა ბევრი მათგანი შესრულებული პირობის გარეშე დარჩენილა. დაუსრულებელი მშენებლობების ბოლოდროინდელი ყველაზე აქტუალური მაგალითია „ცენტრ პოინტის“ ბინები.

თუმცა, ამ კომპანიის გარდა, დედაქალაქში და არამხოლოდ, ხშირად შეხვდებით ნახევრად აშენებულ შენობებს. სწორედ დაუსრულებელ მშენებლობებს ეხება მთავრობის მორიგი ინიციატივა, რომელიც გუშინ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განიხილეს.

კერძოდ, იმ კომპანიებისთვის, რომელთაც მშენებლობა ვერ დაასრულეს, საგადასახადო კოდექსში შეღავათები შევა, რომლის მიხედვითაც დაუსრულებელი მშენებლობებისთვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები ორი წლით გახანგრძლივდება – აღნიშნული ცვლილებები მთავრობის სხდომაზე ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა.

მიუხედავად დაუსრულებელი მშენებლობების შესახებ გახმაურებული საქმეებისა, მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარის, ირაკლი როსტომაშვილის თქმით, 2010 წლის შემდეგ თბილისში დაახლოებით 240 დაუსრულებელი მშენებლობა იყო, რაც საგანგაშო მაჩვენებელი არ არის. მისი განმარტებით, მშენებლობის შეჩერება ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება, – „ძირითადად, ეს დაფინანსების შეწყვეტის, გაყიდვების არ არსებობის, დამკვეთის მიერ მშენებლობაზე უარის თქმა და მსგავსი მიზეზებია, – განმარტავს როსტომაშვილი.

ის ასევე აღნიშნავს, რომ 240 მშენებლობას შეჩერების განსხვავებული მიზეზები და პრობლემები ჰქონდათ, – ბინები აღარ იყიდებოდა. მოსახლეობა, ვისაც უკვე ნაყიდი ჰქონდა ბინები და ყოველთვიურად განვადება უნდა გადაეხადათ, ესეც შეწყვიტეს. დაფინანსებას არც ბანკები აგრძელებდნენ, – აღნიშნავს მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე.

რაც შეეხება დაუსრულებელი მშენებლობების შესახებ საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს, ირაკლი როსტომაშვილის თქმით, კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების ორი წლით გახანგრძლივება იმიტომ ხდება, რომ ბევრმა კომპანიამ მშენებლობის დასრულება კონკრეტულ ვადებში ვერ შეძლო, – იურიდიული საკითხების მოგვარებაში ძალიან ბევრი დრო დაიკარგა და ამ კომპანიებმა მიმართეს მთავრობას, რომ ვადა გადაეწიათ, – განმარტავს ის.

არის შემთხვევები, როდესაც შეჩერებული მშენებლობების გაგრძელება ხდება, თუმცა „საშენი მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის“ გარეშე თავმჯდომარის, ანზორ საკანდელიძის თქმით, აღნიშნული შენობების შემოწმება არ ხდება, შესაბამისად, უცნობია, რამდენად უსაფრთხოა ექსპლუატაცია, რამდენად გამძლეა საძირკველი, არის თუ არა კედლები მყარი:

– როდესაც მშენებლობა წყდება, მისი სამუშაოების კონსერვაცია უნდა მოხდეს, რადგან სამუშაოების უცებ, ტექნოლოგიურად შეწყვეტა არ შეიძლება.

ამან შეიძლება კონსტრუქციის დაზიანებები გამოიწვიოს. ჩვენთან ათობით მიტოვებული ობიექტია, რომელთაც არავინ ამოწმებს, ატმოსფერული ნალექის ქვეშაა მოქცეული და ამაზე სამუშაოების გაგრძელება მავნებლობაა, – განმარტავს ის და დასძენს, რომ აღნიშნული მშენებლობის ტექნიკური და სეისმოლოგიური მაჩვენებელი და მდგრადობა უნდა შემოწმდეს, რაც, მისი თქმით, საქართველოში არ ხდება და ნებისმიერ სამშენებლო კომპანიას შეუძლია, კონსტრუქცია საკუთარი სტანდარტებისამებრ ააშენოს.

განსხვავებული პოზიცია აქვს მერიას. შეჩერებულ მშენებლობებთან დაკავშირებით თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურიც მუშაობს. უწყებაში განმარტავენ, რომ კონკრეტული შემთხვევის დროს, არსებული ვითარების განხილვა ხდება და ამის შემდეგ იღებენ ფინანსური დახმარების ან მშენებლობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას.

მერიის ინფორმაციით, არქიტექტურის სამსახური ექსპლუატაციაში შესვლამდე მის ხარისხსა და უსაფრთხოებას ამოწმებს.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ თქვენი საცხოვრებელი კორპუსის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიღება სამშენებლო კომპანიისგან შეგიძლიათ, რომელიც ვალდებულია, ის ამომწურავად მოგაწოდოთ.

რიყე-ნარიყალას საბაგირო გზით მგზავრობის ფასი 1 ლარიდან 2.5 ლარამდე იზრდება

კუს ტბის საბაგიროს ტარიფი უცვლელი რჩება, რიყე-ნარიყალას საბაგირო გზით მგზავრობის ფასი კი 1 ლარიდან 2.5 ლარამდე იზრდება

კუს ტბის საბაგიროთი სარგებლობის ტარიფი უცვლელი რჩება, ხოლო რიყე-ნარიყალას საბაგირო გზით სარგებლობის ფასი 1 ლარიდან 2.5 ლარამდე იზრდება, – აღნიშნული ცვლილებების პროექტს დადებითი რეკომენდაცია დღევანდელ სხდომაზე იურიდიულ საკითხთა კომისიამ მისცა, სადაც შესაბამისი საკითხი განიხილეს.

საკრებულოს ინფორმაციით, თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ საკრებულოში თავდაპირველად შეტანილი ცვლილება ორივე საბაგიროთი მგზავრობის ტარიფის ლარიდან ორ ლარამდე ზრდას ითვალისწინებდა, თუმცა, იურიდიულ საკითხთა კომისიამ თავმჯდომარის, თევდორე კობახიძის ინიციატივით, წარმოდგენილი საკითხის შესაბამისი სამსახურის მიერ შემდგომი განხილვისა და ახალი პროექტის შემუშავების მიზნით დროებით გადადო.

როგორც კობახიძემ განმარტა, რიყე-ნარიყალას საბაგიროთი, ძირითადად, ტურისტები სარგებლობენ, რომლებისთვისაც მომატებული ტარიფიც მისაღები იქნება, ხოლო ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბის საბაგიროთი მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ორ ლარამდე გაზრდილი ტარიფი მნიშვნელოვანი დარტყმა იქნებოდა.

შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა იურიდიულ საკითხთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე ცვლილების ახალი პროექტი წარმოადგინა, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

35.082 გადამხდელს 1.563.070.960.00 ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ცვლილების ამოქმედებიდან (02.06.2016 – 21.04.2017) დღემდე, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის მიხედვით, გადასახადის 35.082 გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება ჯამში 1.563.070.960.00 ლარი.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მათ შორის: ა) ნაწილით – 34.435 გადამხდელს 1.558.744.038.00 ლარი; ბ) ნაწილით – 631 გადამხდელს 4.316.610.00 ლარი; გ) ნაწილით – 16 გადამხდელს 10.312.00 ლარი.

აღნიშნული ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის მაისში შევიდა (გამოქვეყნების თარიღი – 2016 წლის 1 ივნისი). ცვლილების თანახმად, 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად ჩამოწერას დაექვემდებარა:

ა) 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, არ წარმოუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე არ ფიქსირდება ერთობლივი შემოსავალი;

ბ) 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, არ წარმოუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშების საფუძველზე არ ფიქსირდება ერთობლივი შემოსავალი.

გ) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა (გ) ნაწილი დარჩა უცვლელი).

შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ახორციელებს როგორც თავისი ინიციატივით (სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში), ასევე გადამხდელის მომართვის შემთხვევაში.

ჩამოწერის პროცესი გრძელდება.

– ამ ცვლილებამდე მოქმედი ჩამოწერის წესის მიხედვით 02.06.2016 წლამდე საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა 18.941 გადასახადის გადამხდელს ჯამში 1.104.279.889.73 ლარი, მათ შორის: ა) ნაწილით – 10.952 გადამხდელს 1.094.153.961.31 ლარი, ბ) ნაწილით – 918 გადამხდელს 5.124.844.92 ლარი, გ) ნაწილით – 7.071 გადამხდელს 5.001.083.50 ლარი, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პენტაგონმა მაიკ ფლინის საქმეების გამოძიება დაიწყო

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ მაიკ ფლინის საქმეების გამოძიება დაიწყო. სათანადო ბრძანება პირადად აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა გასცა.

ფლინი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ტრამპის მრჩეველი გახლდათ. ის რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მონაწილეობდა რუსული პროპაგანდისტული ტელეკომპანია „რაშა თუდეის“ ღონისძიებებში. კრემლში გამართულ ბანკეტზე ის თავად ვლადიმერ პუტინის გვერდით იჯდა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა სპეისერმა აღნიშნა, რომ თეთრი სახლი ფლინის მიმართ გამოძიების დაწყებას მიესალმება.

ამრიგად, ტრამპის აწ უკვე ყოფილი მრჩეველი კვლავაც საყოველთაო ყურადღების ქვეშაა.

ტრამპი: „ჩრდილოეთ კორეასთან სამხედრო კონფლიქტი შესაძლებელია!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა აშშ-ის ყველა სამშვიდობო ინიციატივას უგულებელყოფს. შედეგად ვითარება უკიდურესობამდე დაიძაბა.

– ჩრდილოეთ კორეასთან სამხედრო კონფლიქტი შესაძლებელია! – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღიარა, რომ მოვლენების ამ სცენარით განვითარება არ სურს. მან დადებითად შეაფასა ჩინეთის როლი, რომელიც სიტუაციის განმუხტვისაკენ არის მიმართული.

– ჩინეთი ბევრს აკეთებს საიმისოდ, რომ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მივიდეს, – განაცხადა ტრამპმა.

ისრაელმა ჰესბოლას პოზიციებს დაარტყა

ისრაელის ავიაციამ განახორციელა საჰაერო დარტყმა დამასკოს მახლობლად მდებარე იარაღის საწყობებზე.

მას ჰესბოლას მებრძოლები იცავდნენ. საწყობებში ინახებოდა იარაღი, რომელიც ირანიდან სირიაში გადმოისროლეს.

ზუსტი საჰაერო დარტყმის შედეგად საწყობები მთლიანად განადგურდა.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვმა ისრაელის აქცია გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ ასეთი ქმედებები სირიაში მხოლოდ დაძაბულობის ესკალაციას უწყობს ხელს. პესკოვმა ისრაელს მოუწოდა, მსგავსი ქმედებებისგან თავი შეიკავოს.

მაკედონიის პარლამენტში ხალხი შეიჭრა

მაკედონიის პარლამენტის სპიკერად ალბანელი ჯაფერი აირჩიეს. ამას სლავი უმრავლესობის საპროტესტო აქციები მოჰყვა. მანიფესტანტები პარლამენტში შეცვივდნენ. არიან შეტაკებისას დაშავებულნი.

მაკედონიაში კრიზისი მას შემდეგ გამძაფრდა, რაც საპარლამენტო არჩევნებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტია ალბანურ უმცირესობას გაურიგდა და დათანხმდა, რომ ალბანელი ჯაფერი პარლამენტის თავმჯდომარე გამხდარიყო.

ამან მოსახლეობა აღაშფოთა. ხალხმა პარლამენტი შტურმით აიღო. სოციალ-დემოკრატების ლიდერი ზაევი სასტიკად არის ნაცემი. პოლიციამ როგორც ახლადარჩეული სპიკერი ჯაფერი, ასევე სოციალ-დემოკრატები პარლამენტიდან გაიყვანა.

პრეზიდენტმა ივანოვმა ყველა დაპირისპირებულ ძალას დიალოგისაკენ მოუწოდა.

– ახლა აუცილებელია სიმშვიდე და დიალოგი, – განაცხადა ივანოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოსულში ისლამური სახელმწიფოს მიერ გათხრილი გვირაბების ქსელი აღმოაჩინეს

რას წარმოადგენს ახალი დაჯგუფება „კატიბა ალ იმამ შამილი“

მარიამ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ სირიაში ტერორისტულ ორგანიზაციებს – ისლამურ სახელმწიფოსა და ალ-ქაიდას ბევრი სახელმწიფო ებრძვის, მათი დამარცხება აქამდე ვერ მოხერხდა. ისინი არ იშლებიან და ახალ დაჯგუფებებსაც ქმნიან.

ბრიტანელმა სპეციალისტებმა ერაყის ქალაქ მოსულში, მიწის ქვეშ მიაკვლიეს გვირაბების ფართო ქსელს, რომელიც ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა გათხარეს. ირკვევა, რომ რადიკალი ისლამისტი ტერორისტები იარაღსაც აწარმოებენ. გარდა ამისა, მათ ხელშია საბჭოთა და რუსეთის წარმოების ავტომატები.

ისლამური სახელმწიფო, ანუ დაიში სხვადასხვა სახელმწიფოში აგრძელებს ტერორისტულ მოქმედებებს. ეს მოქმედებები მრავალგვარია და მხოლოდ აფეთქებებს არ გულისხმობს.

ახალი ინფორმაციებით, ლონდონში პოლიციამ იმ ქუჩაზე, სადაც პარლამენტი და პრემიერ-მინისტრის ოფისია, დააკავა დანებით შეიარაღებული ახალგაზრდა კაცი. მას ტერორიზმის შესახებ კანონის დარღვევა ბრალდება.

ავღანეთში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმდინარე ოპერაციისას 2 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.

ორი დღის წინ დადგინდა, ვინ მოაწყო ტერაქტი სანკტ-პეტერბურგის მეტროში 3 აპრილს. ამ აფეთქებას 15 მგზავრი, ასევე თვითმკვლელი ტერორისტი შეეწირა, 102 მოქალაქე დაშავდა.

სანკტ-პეტერბურგის ტერაქტზე პასუხისმგებლობა იკისრა დაჯგუფება „კატიბა ალ იმამ შამილმა“, რომელიც დაკავშირებულია ალ-ქაიდასთან.

არსებული ცნობებით, თვითმკვლელმა, წარმოშობით ყირგიზმა აკბარდჟონ ჯალილოვმა დავალება პირდაპირ ალ-ქაიდას მეთაურ აიმან ალ-ზავახირისგან მიიღო.

ალ-ქაიდას ახალი განაყოფი სირიიდან რუსეთის ჯარის გაყვანას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი ტერაქტებით იმუქრება. რუსეთი სირიიდან გამოსვლას ჯერ არ აპირებს.

ამ ტერაქტის შემდეგ ექსპერტებმა ივარაუდეს მისი კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, 3 აპრილის აფეთქება კავკასიასთან ირიბ ბმაშია. ეს დაჯგუფება ჩეჩენი საველე მეთაურისა და აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილის შამილ ბასაევის სახელობისაა. ბასაევი 2006 წელს სპეცოპერაციის დროს დაიღუპა.

პეტერბურგის ტერაქტის საქმეზე 10 კაცია დაკავებული. მათ შორის არიან თვითმკვლელის ძმები – აკრამ და აბზორ აზიმოვები. ამასთან, აკრამ აზიმოვი ირწმუნება, რომ არ იცოდა, თუ ტერორისტულ აქტში იყო ჩაბმული.

ჯიჰადისტების სხვა ჯგუფებს უყენებენ ბრალდებებს ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში განხორციელებული მოქმედებების გამო.

ამ დღეებში დონის როსტოვის სასამართლოში განახლდა ერთი პროცესი: ყაბარდო-ბალყარეთის მკვიდრ 10 ახალგაზრდას ბრალად ედება უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობა და რესპუბლიკაში კონსტიტუციური წყობის დამხობის მცდელობა.

გამოძიების მტკიცებით, მათ უნდოდათ ხელისუფლების ჩამოგდება, ხალიფატის ჩამოყალიბება და შარიათის წესების შემოღება.

სამართალდამცავი ორგანოები მათ ლიდერად და ამირად მიიჩნევენ ოლეგ მისხაჟევს. მან ადრე მიცემული აღიარებითი ჩვენებები გადათქვა და ახლა ბრალს არ აღიარებს.

ბრალდებულების მტკიცებით, მათ დაკავებამდე იარაღი და ნარკოტიკები ჩაუდეს, შემდეგ კი აწამეს. შემოწმებამ წამება არ დაადასტურა.

ტერორიზმთან ბრძოლას შეიძლება უდანაშაულო ადამიანებიც ემსხვერპლონ, მით უმეტეს, იმ სახელმწიფოებში, სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები. დადგენილია, რომ ტერაქტები ავტორიტარიზმს აძლიერებს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

კალეიდოსკოპი

აგრესიულმა ალიგატორმა კერძო სახლში მოიკალათა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატში სამმეტრიანმა ალიგატორმა საკუთარ ორსართულიან სახლში შეაღწია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული და ორ დღეში ის 24 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალიგატორი სახლის მფლობელებმა ღამით შენიშნეს. ისინი ღამით ხმაურმა გააღვიძა.

აღსანიშნავია, რომ რეპტილია ოთხი მეტრი სიმაღლის კიბეზე ავიდა, დაამტვრია მინის მოაჯირი და გზად ავეჯს აქეთ-იქით ისროდა.

მსგავსი შემთხვევები სამხრეთ კაროლინაში წელიწადის ამ დროს იშვიათობას არ წარმოადგენს.

ალექს ბოლდუინის ქალიშვილმა სიშიშვლის დასაფარად ძაღლი გამოიყენა

ამერიკელი მსახიობების ალექს ბოლდუინისა და კიმ ბესინჯერის ქალიშვილმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც შიშველი მკერდის დასაფარად ძაღლი ჰყავს ჩახუტებული. ასეთივე პოზაში აქვს სურათი გადაღებული სტივენ და კენი ბოლდუინების ქალიშვილსაც.

21 წლის აილენდ ბოლდუინმა და 24 წლის ალანია ბოლდუინმა სურათის გადაღების დროს ტაქსასა და ჩიხუახუას ჯიშის ძაღლები გამოიყენეს. გოგონების ფოტოსურათებმა 5,4 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. სულ კი აილენდის გვერდს 340 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

სურათისთვის გაკეთებულ წარწერაში აილენდმა თავის ხელმომწერებს დედამიწის საერთაშორისო დღე მიულოცა.

ლონდონში ძაღლმა სკეიტბორდით ისრიალა

ლონდონის კლისოლდ-პარკში ფრანგული ბულდოგის ჯიშის ძაღლმა სკეიტბორდით ისრიალა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ძაღლის პატრონმა ტვიტერში საკუთარ მიკრობლოგში გამოაქვეყნა.. ორ დღეში აღნიშნულმა ვიდეორგოლმა 84 ათასი მოწონება და 52 ათასი გაზიარება მიიღო. ვიდეორგოლისთვის გაკეთებულ კომენტარებში ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ძაღლის პატრონს ურჩია, რომ მომავალში ძაღლს თავზე მუზარადი დაახუროს და მზის სათვალეებიც მოარგოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რომელია გამონაყარით მიმდინარე ბავშვთა ინფექციური დაავადებები

ეკა ირემაშვილი

არსებობს ბავშვთა ინფექციური დაავადებები, რომლებიც გამონაყარით მიმდინარეობს.

სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პერიოდებში უხშირესად გვხვდება სპეციფიკური გამონაყარითა და კლინიკური სურათით მიმდინარე 6 ინფექციური დაავადება. ესენია ჩუტყვავილა, წითელა, წითურა, ქუნთრუშა, ინფექციური ერითემა და უეცარი ეგზანთემა.

არის თუ არა საშიში ეს დაავადებები და რა შეიძლება გახდეს დაინფიცირების მიზეზი, ამ თემებზე „მზიური მედის“ ექიმი, პედიატრი ნელი სიმონიშვილი საუბრობს.

ნელი სიმონიშვილი:

– გამონაყარით მიმდინარე ბავშვთა ინფექციური დაავადებები საკმაოდ აქტუალური თემაა.

სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პერიოდებში უხშირესად გვხვდება სპეციფიკური გამონაყარითა და კლინიკური სურათით მიმდინარე 6 ინფექციური დაავადება.

– რა შეიძლება გახდეს ინფექციის წყარო?

– ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ადამიანი.

– რომელია ინფექციური დაავადებები?

– ჩუტყვავილა, წითელა, წითურა, ქუნთრუშა, ინფექციური ერითემა და უეცარი ეგზანთემა.

ჩუტყვავილა მწვავე ვირუსული ინფექციაა, ხასიათდება ზომიერი ცხელებითა და ინტოქსიკაციით, ვეზიკულური – ბუშტუკოვანი გამონაყარით, კანის ქავილითა და ბავშვის გაღიზიანებით. ხასიათდება სეზონურობით, ძირითადად გვხვდება შემოდგომასა და ზამთარში.

წითელა მწვავე ვირუსული ინფექციაა, ხასიათდება ცხელებით, ზედა სასუნთქი გზების კატარული მოვლენებით, კონიუნქტივიტით და ლაქოვან-პაპულური გამონაყარით. ხასიათდება სეზონურობით და მისი გააქტიურების პერიოდია დეკემბერ-მაისი.

წითურა მწვავე ვირუსული ინფექციაა, მიმდინარეობს ზემო სასუნთქი გზების ინფექციის მსუბუქად გამოხატული სიმპტომატიკით, პაპულოზური გამონაყარით, კეფისა და კისრის ლიმფური კვანძების გადიდებით. ხასიათდება სეზონურობით და ძირითადად გაზაფხულზე აქტიურდება.

ქუნთრუშა მწვავე სტრეპტოკოკული ინფექციაა. ახასიათებს ცხელება, ინტოქსიკაცია, ყბისქვეშა ლიმფური კვანძების გადიდება, ანგინა, წვრილწინწკლოვანი გამონაყარი კანის ჰიპერემიულ ფონზე, „ყოლოსებური“ ენა, მოგვიანებით – კანის ფირფიტისებრი აქერცვლა კიდურებზე. ხასიათდება სეზონურობით და ყველაზე ხშირია სექტემბერ-იანვარის პერიოდში. საჭიროებს დროულ დიაგნოსტირებას, დამზოგველ რეჟიმს და 10-დღიან ანტიბიოტიკოთერაპიას.

ინფექციური ერითემა მწვავე ვირუსული ინფექციაა, მიმდინარეობს ინტოქსიკაციის გარეშე, დამახასიათებელი ბადისებური გამონაყარით.

უეცარი ეგზანთემა მწვავე ვირუსული ინფექციაა, ტემპერატურის უეცარი მომატებით 39-40 გრადუსამდე 3-4-5 დღის განმავლობაში და ასევე უეცარი ლიზისით ნორმამდე, ამ დროს ჩნდება გამონაყარი, რომელიც მალევე ქრება.

– როგორ მკურნალობენ ამ ინფექციურ დაავადებებს?

– ამ დაავადებების მსუბუქი მიმდინარეობის ან წაშლილი ფორმების შემთხვევაში, გაძნელებულია დიფერენციალური დიაგნოსტიკა ალერგიასა და სხვა გამონაყარით მიმდინარე ინფექციებს შორის. ამიტომ მსგავსი კლინიკური სურათის მქონე ყველა შემთხვევა გამონაყარით, თუნდაც ერთეული ელემენტის არსებობით, საჭიროებს პედიატრის ან ინფექციონისტის დროულ კონსულტაციას. გაურთულებელი ვირუსული ინფექციების მკურნალობა ძირითადად სიმპტომურია.

ფირმინო ფეხბურთელად სტომატოლოგმა აღმოაჩინა

რობერტო ფირმინო ღარიბ ბრაზილიურ ოჯახში გაიზარდა. მამა სანაპიროსა და საკონცერტო დარბაზებთან სასმელებს ყიდდა, ხოლო თავად ბობი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე ქოქოსით ვაჭრობდა. მშობლებს სურდათ, რომ მას სკოლაში კარგად ესწავლა და გაცილებით უსაფრთხო სკოლაში გადასულიყო, თუმცა მათი და ფირმინოს აზრები ერთმანეთს სულაც არ ემთხვეოდა.

რობერტო კლუბ რეგატას ბრაზილში ვარჯიშობდა, სკოლა კი ნელ-ნელა ჭაობში იძირებოდა, რადგან ფინანსური პრობლემები ჰქონდა. მწვრთნელები ხელფასს თვეების განმავლობაში ვერ იღებდნენ და აკადემიაც თავისთვის არსებობდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ჭაობიდან თავის დაღწევაში ფირმინოს კლუბის სტომატოლოგი მარსელუშ პორტელა დაეხმარა.

მარსელუშ პორტელა:

– როდესაც მისი თამაში ვნახე, მაშინვე მივხვდი, თუ რა დიდი ტალანტის მქონე იყო ის. ამის მიუხედავად, მისით არავინ ინტერესდებოდა. როდესაც ფირმინოს ვუთხარი, რომ ერთ დღეს ის ნაკრებში ითამაშებდა, მან შეშლილი მიწოდა. ახლა კი ყველა აღიარებს, რომ შეშლილები თავად იყვნენ, როცა ასეთ ნიჭს ვერ ამჩნევდნენ.

მარსელუშმა აუხსნა რობერტოს, რომ კლუბში გაჩერება მას წარმატებას ვერ მოუტანდა. სტომატოლოგი დაუახლოვდა პატარა ბიჭის ოჯახს. მალე ის ბობის მასწავლებელი, აგენტი და, უბრალოდ, კარგი მეგობარი გახდა.

– მან მხარი დამიჭირა მაშინ, როცა ჩემი არავის სჯეროდა. ის ძალიან დამეხმარა სხვადასხვა რჩევით, – იხსენებს ფირმინო.

მალე პორტელამ თავისი ძველი კავშირები გამოიყენა, რისი წყალობითაც 2 კვირის განმავლობაში რობერტო სან პაულოში ვარჯიშობდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. 2008 წელს კი ფირმინომ უკვე ფიგურირებსეს მიაშურა, სადაც შეტევაში საოცრებები ჩაიდინა და კლუბის მესვეურებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კლუბ ბრაზილიაში მას საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ.

– პირველ ვარჯიშზე რობერტომ 2 გოლი გაიტანა. მისი დონე თავიდანვე შესამჩნევი იყო. ჩვენ ის მაშინვე ავიყვანეთ. მას არ ჰქონდა განსაკუთრებული განათლება, თუმცა მოედანზე ის მუდამ დაუჯერებლად გონიერი და ჭკვიანი იყო. ის რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებდა და ტაქტიკას აღღოს ადვილად უღებდა, – იხსენებს ფიგურირენსეს მწვრთნელი ემერსონ მარია.

ახალ კლუბში ბობი პირველ თვეებში პრაქტიკულად არავის ეკონტაქტებოდა. მეტიც, ზოგიერთმა მწვრთნელმა და მოთამაშემ მისი სახელიც კი არ იცოდა. ფირმინო მაშინაც კი ჩუმად იყო, როცა მას არასწორი სახელით მიმართავდნენ.

– ძალიან ჩაკეტილი იყო, რადგან პირველად დატოვა სახლი ასე დიდი ხნით. ზოგადად, მე სახელებს მარტივად ვიმახსოვრებ, თუმცა მასთან პრობლემები მქონდა. გარკვეული პერიოდი მას შეცდომით ალბერტოს ვეძახდი, ის კი

ჩემს დავალებებს უსიტყვოდ ასრულებდა, – იხსენებს მარია. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ფიზმომზადების მწვრთნელმა მარიას ჩუმად უთხრა, რომ ის ფირმინოს სხვა სახელით მიმართავდა.

ფიგურირენსეში ფირმინო სწრაფად განვითარდა. ზუსტად 1 წელში გუნდის ყველაზე წყნარი მოთამაშე 17-წლამდელთა ლიდერი და 10 ნომრის მფლობელი გახდა. ის უფრო მეტს მუშაობდა, ვიდრე მოეთხოვებოდა. თითქმის 1 წელი, კლუბის ბაზის გარდა არსად ყოფილა.

2010 წელს ფიგურირენსე ბრაზილიის უმაღლეს დივიზიონში დაბრუნდა. სულ მალე კი რობერტოს შეძენით ჰოფენჰაიმი დაინტერესდა. გერმანულმა კლუბმა 4 მილიონ ევროდ გადაიბირა, წლების შემდეგ კი ლივერპულში 41 მილიონ ევროდ გაუშვა.

მარსელუშ პორტელა აღარ მუშაობს სტომატოლოგად. ის ფირმინოს ახლო მეგობარი და დამხმარეა. ის უარს აცხადებს აგენტის სტატუსსა და თავის თავზე საუბარზე. მისი მიზანი არ ყოფილა რაიმე სარგებლის მიღება. ის, უბრალოდ, პატარა, ღარიბ ბიჭს დაეხმარა...

ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დააჯარიმა

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დააჯარიმა.

2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოსა და სერბეთის ნაკრებებს შორის 24 მარტს გამართული მატჩის (1:3) მიმდინარეობისას დაფიქსირებული დარღვევის გამო ფიფამ სფფ-ს ფულადი ჯარიმა დაუწესა.

კერძოდ, მოედანზე უცხო ნივთების (ბოთლების) სროლის გამო სფფ-ს ჯარიმის სახით 5.000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ ფიფასგან გაფრთხილებაც მიიღო.

ანალოგიური დარღვევის განმეორების შემთხვევაში ფულადი ჯარიმის ოდენობა გაიზრდება.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ლონდონური, ბარსელონური და რომაული დერბები უქმეებზე

მომავალ უქმეებზე დერბების ტუჩია – ლონდონში ეთამანეთს ტოტენჰემი და არსენალი შეეჯახებიან, ჯატალონიაში ჯი ესპანიოლი და ბარსელონა გაარჯვევენ უთანეთობას. ყველაზე საინტერესოდ ჯი რომაული დერბი მოჩანს – რომა-ლაციო. ამ გუნდების მატჩი ყოველთვის დიდ ინტერესს ინვევს, მით უფრო, როდესაც ორივეს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა აქვს დასახული.

ინგლისი

29.04	საუთჰემპტონი-ჰალი	1.67	3.8	5.0
29.04	სანდერლენდი-ბორნმუთი	2.9	3.4	2.37
29.04	ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი	2.5	3.3	2.8
29.04	კრ.პალასი-ბარნლი	1.83	3.5	4.4
30.04	მანჩესტერი-სუონსი	1.36	4.75	8.5
30.04	მიდლსბრო-სიტი	9.0	5.0	1.33
30.04	ევერტონი-ჩელსი	3.5	3.5	2.05
30.04	ტოტენჰემი-არსენალი	1.85	4.0	3.75
01.05	უოტფორდი-ლივერპული	6.0	4.0	1.55

საუთჰემპტონი-ჰალი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ვირჯილ ვან დიიკი, ჩარლი ოსტინი, მატ ტარგეტი

ჰალი: ***ტრავმ***-დავიდ მეილერი, ომარ ელაბდელაუ, რაიან მეისონი, უილიამ კინი

სანდერლენდი-ბორნმუთი

სანდერლენდი:***ტრავმ***-ბილი ჯონსი, ბრაიან ოვიედო, იან კირჰოფი, დანკან უიტმორი, პედი მაკნაირი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯეკ უილშირი, ენდრიუ სარმანი, ადამ ფედერიკი, ქალუმ უილსონი

ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

ლესტერი: ***ტრავმ***-ისლამ სლიმანი, ვეს მორგანი, ნამპალის მენდი

კრ.პალასი-ბარნლი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-სკოტ დანი, კონორ უიკჰემი, პაპე სუარე

ბარნლი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი-სუონსი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მარკოს როხო, ხუან მატა, კრის სმოლინგი, ფილ ჯონსი

სუონსი: ***ტრავმ***-ჯეკ კორკი, ანგელ რანგელი, ნათან დაიერი

მიდლსბრო-სიტი

მიდლსბრო:***ტრავმ***-ვიქტორ ვალდესი

სიტი: ***ტრავმ***-ჯონ სტოუნზი, ბაქარი სანია, გაბრიელ ჟესუსი, ილგაი გუნდოგანი

ევერტონი-ჩელსი

ევერტონი: ***ტრავმ***-აარონ ლენონი, რამირო მორი, სიმუს კულემანი, ჯეიმს მაკკარტნი, იანიკ ბოლასიე

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ტოტენჰემი-არსენალი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-მიშელ ვორმი, ჰარი ვინკსი, დენი როუზი, არიკ ლამელა

არსენალი: ***ტრავმ***-შკოდრან მუსტაფი, დავიდ ოსპინა, ლუკას პერესი, სანტი კაზორლა

უოტფორდი-ლივერპული

უოტფორდი: ***ტრავმ***-იუანის ქაბული, მაურო ზარატე, რობერტო პერეირა

ლივერპული: ***ტრავმ***-რაგნარ კლავანი, სადიო მანე, ჯორდან ჰენდერსონი, ოვიე ერაჯია

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	33	25	3	5	69-29	78
2.ტოტენჰემი	33	22	8	3	69-22	74
3.ლივერპული	34	19	9	6	70-42	66
4.სიტი	33	19	8	6	63-35	65
5.მანჩესტერი	33	17	13	3	50-24	64
6.არსენალი	32	18	6	8	64-40	60
7.ევერტონი	34	16	10	8	60-37	58
8.ვესტ ბრომვიჩი	33	12	8	13	39-42	44
9.საუთჰემპტონი	32	11	7	14	39-44	40
10.უოტფორდი	33	11	7	15	37-54	40
11.სტოკი	34	10	9	15	37-50	39
12.კრ. პალასი	34	11	5	18	46-54	38
13.ბორნმუთი	34	10	8	16	49-63	38
14.ვესტ ჰემი	34	10	8	16	44-59	38
15.ლესტერი	33	10	7	16	41-54	37
16.ბარნლი	34	10	6	18	33-49	36
17.ჰალი	34	9	6	19	36-67	33
18.სუონსი	34	9	4	21	39-68	31
19.მიდლსბრო	34	5	12	17	24-43	27
20.სანდერლენდი	33	5	6	22	26-59	21

ესპანეთი

29.04	სოსიედადი-გრანადა	1.15	7.5	17.0
29.04	რეალი-ვალენსია	1.18	7.0	13.0
29.04	ლას პალმასი-ატლეტიკო	5.0	3.6	1.73
29.04	ესპანიოლი-ბარსელონა	15.0	6.0	1.2
30.04	ოსასუნა-დეპორტივო	3.6	3.4	2.05
30.04	ბეტისი-ალავესი	2.25	3.1	3.4
30.04	ეიბარი-ლეგანესი	2.1	3.25	3.6
30.04	სელტა-ბილბაო	4.2	3.5	1.85
01.05	მალაგა-სევილია	3.8	3.6	1.91

სოსიედადი-გრანადა

სოსიედადი: ***ტრავმ***-ჯონ გურიდი, კარლოს მარტინესი

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

რეალი-ვალენსია

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, რაფაელ ვარანი, გარეთ ბეილი

ვალენსია: ***ტრავმ***-აიმენ აბდენური, ხოსე გაია, როდრიგო მორენო

ლას პალმასი-ატლეტიკო

ლას პალმასი: ***ტრავმ***-არავინ

ატლეტიკო:***ტრავმ***-ალესიო ჩერჩი, ფელიპე ლუისი, ხუანფრანი, სიმე ვრსალკო, აუგუსტო ფერნანდესი

ესპანიოლი-ბარსელონა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ერნან პერესი, ალვარო ვასკესი, ოსკარ დუარტე

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია, ალექსის ვიდალი

ოსასუნა-დეპორტივო

ოსასუნა:***ტრავმ***-იმანოლ გარსია, დავიდ გარსია, ორიოლ რიერა, ალექს ბერენგური, ემანუელ რივეირა, უნაი გარსია, ტანო ბონინი, მიგელ ფლანო, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

დეპორტივო:***ტრავმ***-პედრო მოსკერა

ბეტისი-ალავესი

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო სანაბრია, კტისტიანო პიცინი

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

ეიბარი-ლეგანესი

ეიბარი: ***ტრავმ***-ფრან რიკო

ლეგანესი: ***ტრავმ***-ალექსანდერ შიმანოვსკი, დარვინ მაჩისი, ნაბილ ელ ზარი, ომარ რამოსი, ჯონ სერანტესი, რობერტ იბანიესი

სელტა-ბილბაო

სელტა:***ტრავმ***-ჯუზეპე როსი, რუბენ ბლანკო

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

მალაგა-სევილია

მალაგა: ***ტრავმ***-ადალბერტო პენარანდა, ხუანპი, მიგელ ტორესი, ბაქარი კონე, ზდრავკო კუზმანოვიჩი

სევილია: ***ტრავმ***-ვიტოლო

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	34	24	6	4	101-33	78
2.რეალი	33	24	6	3	90-38	78
3.ატლეტიკო	34	20	8	6	60-25	68
4.სევილია	34	20	8	6	60-40	68
5.ვილიარეალი	34	17	9	8	49-27	60
6.ბილბაო	34	18	5	11	48-38	59
7.სოსიედადი	34	18	4	12	52-47	58
8.ეიბარი	34	14	9	11	52-45	51
9.ესპანიოლი	34	13	11	10	45-44	50
10.ალავესი	34	11	12	11	32-40	45
11.სელტა	33	13	5	15	49-54	44
12.ვალენსია	34	11	7	16	49-59	40
13.ლას პალმასი	34	10	9	15	52-61	39
14.მალაგა	34	10	9	15	40-49	39
15.ბეტისი	34	10	7	17	37-53	37
16.დეპორტივო	34	7	10	17	37-57	31
17.ლეგანესი	34	7	9	18	30-51	30
18.ხიხონი	34	5	9	20	37-67	24
19.გრანადა	34	4	8	22	27-72	20
20.ოსასუნა	34	3	9	22	35-82	18

გერმანია

29.04	ვერდერი-ჰერტა	1.95	3.5	3.75
29,.04	ლაიფციგი-ინგოლშტადი	1.44	4.0	7.0
29.04	დორტმუნდი-კიოლნი	1.28	5.5	10.0
29.04	დარმშტადი-ფრაიბურგი	3.1	3.4	2.25
29.04	მაინცი-გლადბახი	2.15	3.5	3.2
29.04	ვოლფსბურგი-ბაიერნი	8.5	4.8	1.36
30.04	აუგსბურგი-ჰამბურგი	2.5	3.2	2.87
30.04	ჰოფენჰაიმი-აინტრახტი	1.6	4.2	5.0

ვერდერი-ჰერტა

ვერდერი:***ტრავმ***-სანტიაგო გარსია, მაქსიმილიან ეგეშტეინი, ლუკა კარდიროლა, ტომას დელანეი, კლემენს ფრიცი, იზეტ ჰაიროვიჩი, სამბუ იატარაბე

ჰერტა: ***ტრავმ***-ნიკლას სტარკი, ვალენტინ სტოკერი, მიჩელ ვეიზერი, ფაბიან ლუშტენბერგერი, ჯულიან შიბერი, სინან კურტი

ლაიფციგი-ინგოლშტადი

ლაიფციგი:***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ტობიას ლეველსი, მორიც ჰარტმანი

დორტმუნდი-კიოლნი

დორტმუნდი:***ტრავმ***-ანდრე შურლე, მარკ ბარტრა, მარიო გიოტცე

კიოლნი: ***ტრავმ***-სიმონ ზოლერი, მარსელ რიისე

დარმშტადი-ფრაიბურგი

დარმშტადი: ***ტრავმ***-დომინიკ შტროფ-ენგელი, პეტერ ნიმეიერი

ფრაიბურგი:***ტრავმ***-მარკ ტორეხონი, ვიჩენცო გრიფო, მაქსიმილიან ფილიპი

მაინცი-გლადბახი

მაინცი: ***ტრავმ***-გაეტან ბუშმანი

გლადბახი: ***ტრავმ***-ტორგან აზარი, ნიკო შულცი, რაფაელი, ფაბიან ჯონსონი, კრისტოფ კრამერი, ტონი იანტკე

ვოლფსბურგი-ბაიერნი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-პოლ ნტეპი, რიკარდო როდრიგესი, ჯეფრი ბრუმა

ბაიერნი:***ტრავმ***-ხავი მარტინესი, მანუელ ნოიერი

აუგსბურგი-ჰამბურგი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან მორავეკი, რაულ ბობადილა, რაფაელ ფრამბერგერი, კაიბუ

ჰამბურგი: ***ტრავმ***-პიერ ლასოგა, ვასილი იანჩიჩი, რენე ადლერი, ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

ჰოფენჰაიმი-აინტრახტი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ

აინტრახტი: ***ტრავმ***-ხესუს ვალიეხო, მაკოტო ჰასებე, ალექსანდერ მეიერი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	30	21	7	2	73-17	70
2.ლაიპციგი	30	19	5	6	56-31	62
3.დორტმუნდი	30	16	8	6	65-35	56
4.ჰოფენჰაიმი	30	14	13	3	57-32	55
5.ჰერტა	30	14	4	12	38-35	46
6.ფრაიბურგი	30	13	5	12	38-52	44
7.ვერდერი	30	12	6	12	50-51	42
8.კიოლნი	30	10	11	9	43-37	41
9.აინტრახტი	30	11	8	11	32-34	41
10.გლადბახი	30	11	6	13	39-44	39
11.შალკე	30	10	8	12	39-35	38
12.ლევერკუზენი	30	10	6	14	43-46	36
13.მაინცი	30	9	6	15	39-49	33
14.ვოლფსბურგი	30	9	6	15	30-43	33
15.ჰამბურგი	30	9	6	15	30-55	33
16.აუგსბურგი	30	8	8	14	29-49	32
17.ინგოლშტადტი	30	8	4	18	33-54	28
18.დარმშტადტი	30	6	3	21	23-58	21

იტალია

29.04	ტორინო-სამპდორია	1.67	4.33	4.33
30.03	რომა-ლაციო	1.8	3.8	4.2
30.04	ჯენოა-კიევი	1.73	3.75	4.6
30.04	ემპოლი-სასუოლო	2.1	3.5	3.3
30.04	კალიარი-პესკარა	1.57	4.4	5.0
30.04	ბოლონია-უდინეზე	2.37	3.4	2.9
30.04	კროტონე-მილანი	3.9	3.6	1.91
30.04	პალერმო-ფიორენტინა	7.0	4.5	1.44
30.04	ინტერი-ნაპოლი	2.8	3.75	2.3

ტორინო-სამპდორია

ტორინო: ***ტრავმ***-არლინდ აჯეტი, კარლაო, ხუან იტურბე, ლეანდრო გასტანი, კრისტიან მოლინარო, ჯოელ ობი

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯაკოპო სალა, ლის მიულერი

რომა-ლაციო

რომა: ***ტრავმ***-ემერსონი, ალესანდრო ფლორენცი

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი

ჯენოა-კიევი

ჯენოა: ***ტრავმ***-რუბინიო, არმანდო იზო, მატია პერინი

კიევი: ***ტრავმ***-რიკარდო მეჯორინი, ფაბრიციო კაჩიატორე, ნიკოლა რიგონი, მასიმო გობი

ემპოლი-სასუოლო

ემპოლი: ***ტრავმ***-მარსელ ბუჩელი, უროს კოშჩი

სასუოლო: ***ტრავმ***-მარსელო გაზოლა, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

კალიარი-პესკარა

კალიარი: ***ტრავმ***-ლუკა ჯეპიტელი, დანიელე დესენა, ფედერიკო მელხიორი

პესკარა: ***ტრავმ***-დავიდე ვიტურინი, სიმონე პეპე, ალბერტო ჯილარდინო

ბოლონია-უდინეზე

ბოლონია:***ტრავმ***-სიმონე ვერდი, ანტონიო მირანტე, ადამ ნაგი, ლუკა რიცო, ფილიპ ჰელანდერი

უდინეზე: ***ტრავმ***-სამირი, სეკო ფოფანა, დავიდე ფარაონი

კროტონე-მილანი

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

მილანი: ***ტრავმ***-ანდრეა ბერტოლაჩი, იგნასიო აბატე, ჯაკომო ბონავენტურა, რიკარდო მონტოლივო

პალერმო-ფიორენტინა

პალერმო: ***ტრავმ***-კარლოს ემბალო, სლობოდან რაიკოვიჩი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

ინტერი-ნაპოლი

ინტერი:***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	33	27	2	4	68-20	83
2.რომა	33	24	3	6	74-28	75
3.ნაპოლი	33	21	8	4	77-35	71
4.ლაციო	33	19	7	7	60-38	64
5.ატალანტა	33	19	6	8	56-37	63
6.მილანი	33	17	7	9	50-37	58
7.ინტერი	33	17	5	11	63-42	56
8.ფიორენტინა	33	15	10	8	55-45	55
9.ტორინო	33	12	12	9	63-54	48
10.სამპდორია	33	12	9	12	41-41	45
11.უდინეზე	33	12	7	14	43-44	43
12.კალიარი	33	11	5	17	46-64	38
13.კიევი	33	11	5	17	36-52	38
14.სასუოლო	33	10	6	17	42-52	36
15.ბოლონია	33	9	8	16	31-49	35
16.ჯენოა	33	7	9	17	32-57	30
17.ემპოლი	33	7	8	18	22-51	29
18.კროტონე	33	6	6	21	28-53	24
19.პალერმო	33	3	7	23	27-73	16
20.პესკარა	33	2	8	23	32-74	14

საფრანგეთი

29.04	მონაკო-ტულუზა	1.25	5.5	13.0
29.04	ბასტია-რენი	3.1	3.1	2.4
29.04	გენგამი-სტ.ეტიენი	2.4	3.2	3.0
29.04	მონპელიე-ლილი	2.15	3.3	3.4
29.04	მეცი-ნანსი	2.5	3.2	2.87
29.04	ნანტი-ლორიანი	2.05	3.5	3.5
30.04	კაენი-მარსელი	3.6	3.4	2.05
30.04	დიჟონი-ბორდო	3.2	3.3	2.5
30.04	ნიცა-პსჟ	5.5	4.33	1.55

მონაკო-ტულუზა

მონაკო: ***ტრავმ***-ჯიბრილ სიბიდე, ბოშილია, გვიდო კარილო

ტულუზა: ***ტრავმ***-კლემენტ მიჩელინი, დუშან ვეშკოვაჩი

ბასტია-რენი

ბასტია:***ტრავმ***-ფლორიან მარანგე, სებასტიან სკილაჩი

რენი: ***ტრავმ***-რომან ამალფიტანო

გენგამი-სტ.ეტიენი

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ოსამა ტანანე, ლიოკ პერინი, ფლორენტინ პოგბა, ალექსანდერ სადერლუნდი

მონპელიე-ლილი

მონპელიე: ***ტრავმ***-ვილიამ რემი, იორის მარვო, კაზიმირ ნინგა

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარო, მარკო ბაშა

მეცი-ნანსი

მეცი: ***ტრავმ***-მეტიუ უდოლი

ნანსი: ***ტრავმ***-ტობიას ბადილა

ნანტი-ლორიანი

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

ლორიანი: ***ტრავმ***-ჯერემი ალიდაირი, ვალიდ მესლობი

ჯაენი-მარსელი

კაენი: ***ტრავმ***-მუჰამადი დაბო

მარსელი: ***ტრავმ***-აბუ დიაბი

დიჟონი-ბორდო

დიჟონი: ***ტრავმ***-არავინ

ბორდო: ***ტრავმ***-მაქსიმ პუნდიე, ტომას ტურე

ნიცა-პსჟ

ნიცა: ***ტრავმ***-მუნირ ობადი, ვილიამ ჩიპრიენი, ალასანე პლეა

პსჟ: ***ტრავმ***-ლევინ კურზავა, ჯულიან დრექსლერი, ჰატემ ბენ არფა, ტიაგო სილვა, გრეგორუ კრიხოვიაკი

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	33	25	5	3	92-28	80
2.პსჟ	34	25	5	4	71-23	80
3.ნიცა	34	21	11	2	56-28	74
4.ბორდო	34	15	10	9	49-39	55
5.ლიონი	33	17	3	13	66-41	54
6.მარსელი	34	14	10	10	48-38	52
7.სტ.ეტიენი	33	11	13	9	36-30	46
8.ნანტი	34	12	9	13	33-47	45
9.რენი	34	10	14	10	32-38	44
10.გენგამი	34	12	8	14	40-47	44
11.ტულუზა	34	10	12	12	35-36	42
12.ლილი	34	11	7	16	34-41	40
13.მონპელიე	34	10	9	15	47-57	39
14.ანჟე	34	11	6	17	34-46	39
15.მეცი	34	9	9	16	34-69	36
16.ლორიანი	34	10	4	20	42-65	34
17.კაენი	34	9	6	19	33-58	33
18.დიჟონი	34	7	11	16	44-54	32
19.ნანსი	34	8	8	18	25-44	32
20.ბასტია	33	6	10	17	26-48	28

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ოთხშაბათი 1 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 03.30** "C სტუდია" **16.45** "ეკონომტრი" **17.00, 04.00** "რეალური სივრცე" **21.00** ფონდი "ნატვრის ხე" და ნინო სურგულაძე წარმოგიდგენთ საქველმოქმედო კონცერტს **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**რეალობა იპბინეიგა**" (ი.ჰოუკი) **01.00** მხ/ფ "**სამოთხეში დაბრუნება**" (ვ.ვონი)

